პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
ORGAN TSENTRALNOGO KOMITETA KP (b) GRUZII i
SOVETOV DEPUTATOV TRUDYASHCHIKHSA GRUZINSKOY SSR

გამოცემის 33-ე წელი

№ 226 (9386)

სამშაბათი
23
სექტემბერი
1952 წ.

ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის ფრონტზე ახალი გამარჯვებებით შევხვდეთ პარტიის XIX ყრილობას

„საჭიროა ყოველი ღონისძიებით დახმარება გაეწიოს სამრეწველო- და ტრანსპორტო-წარმოების ნოვატორებს, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მოწინავეებს მათს მისწრაფებაში — გაადიდონ წარმოება, აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, შეამცირონ თვითღირებულება".

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროექტიდან „პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ".

სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის ბრძოლის კონკრეტული პროგრამა

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XV ყრილობაზე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ა. ი. მგელაძის მოხსენებასა და ყრილობის რეზოლუციაში მოცემულია იმ მდგომარეობის ღრმა ანალიზი, რაც საქართველოს კომპარტიაში შეიქმნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული უხეში შეცდომების, დიდი პოლიტიკური ჩავარდნების შედეგად, ნაჩვენებია ამ შეცდომათა გამოსწორებისათვის ბრძოლის პირველი შედეგები და დასახულია მომავალი მუშაობის კონკრეტული საბრძოლო პროგრამა სახალხო მეურნეობის განვითარების ყველა დარგში.

საქართველოს კომპარტიამ, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული გადაწყვეტილებებით, პარტიისა და ხალხის დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის პირადი მითითებებით შეიარაღებულმა, 1952 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ განვლილ ათმოკლე პერიოდში — ხუთნახევარ თვეში დიდი მუშაობა გასწია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომებისა და პოლიტიკური ჩავარდნების ლიკვიდაციისათვის.

ცნობილია, რომ ძველი ხელმძღვანელობა უყურადღებოდ ტოვებდა იმ აღმშფოთებელ ფაქტებს, რომ მთელი რიგი რაიონების ხელმძღვანელები არასწორად, დანაშაულებრივად ეკიდებოდნენ საკოლმეურნეო დოვლათს, რომ ხდებოდა კოლმეურნეობებისაგან გაძარცვა და საკოლმეურნეო ქონების ხელყოფა, უყურადღებოდ ტოვებდა სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების — საკოლმეურნეო ცხოვრების ამ უმაღლესი კანონის უხეშ დარღვევებს. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობა და უწინარეს ყოვლისა მისი ყოფილი პირველი მდივანი ამხ. ჩარკვიანი შემარიგებლურ-ლიბერალურ დამოკიდებულებას იჩენდა საკოლმეურნეო ქონების გამნიავებლებისადმი. საკოლმეურნეო საკუთრებისადმი ასეთი დამოკიდებულება ზარალს აყენებდა კოლმეურნე გლეხობას, ძრის უთხრიდა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის განახლებულმა ხელმძღვანელობამ საკოლმეურნეო მშენებლობის ფრონტზე მთელი მუშაობა წარმართა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა და ამხანაგ სტალინის პირად მითითებათა საფუძველზე. დიდი ყურადღება მიექცა სოფლად მუშაობის საკითხებს, ამაღლდა სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონე. ყოველივე ეს ნათლად ჩანს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში XV ყრილობისადმი. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ახლა იქმნება ისეთი ვითარება, რომელიც სპობს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის, საკოლმეურნეო საკუთრების დატაცების, მითვისების ფაქტების გამეორების შესაძლებლობას.

კოლმეურნე გლეხობა აღფრთოვანებით იბრძვის, რათა წარმატებით შეასრულოს დიდი სტალინის დავალება — უზრუნველყოს საქართველო საკუთარი წარმოების მარცვლეულით. საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა ფართო მასები ჯეროვნად, ფართო მასშტაბით პირველად ებმებიან ბრძოლაში ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესრულებისათვის. სოფლის მეურნეობის მშრომელებმა წელს მოსავალი აიღეს უაღრესად მოკლე ვადებში და ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების გეგმა.

მიუხედავად არსებული მიღწევებისა, სოფლის მეურნეობის დარგში არის მთელი რიგი ნაკლოვანებები.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო კამათში, აგრეთვე მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტის განხილვისას ყრილობის დელეგატებმა სამართლიანად გააკრიტიკეს სამინისტროების, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაობის ნაკლოვანებები სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის საქმეში, ილაპარაკეს იმ დიდ მუშაობაზე, რაც ამჟამად წარმოებს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით და საყურადღებო წინადადებანი წამოაყენეს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო განამტკიცა მუშაობის უნარის მქონე კადრებით, რომელთა მოვალეობაა აამაღლონ აპარატის მუშაობა ახალი ამოცანების დონემდე. ნაკლოვანებებია საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის, ტექნიკური კულტურებისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროების მუშაობაში. ამ სამინისტროების ხელმძღვანელმა მუშაკებმა სასწრაფოდ უნდა გამოასწორონ ძდგომარეობა და უზრუნველყონ ადგილებისადმი ოპერატიული, კონკრეტული დახმარება.

ამხანაგ ა. ი. მგელაძის მოხსენებაში პარტიის XV ყრილობაზე და ყრილობის გადაწყვეტილებებში მოცემულია საქართველოს სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის ბრძოლის ფართო პროგრამა, რაც საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენი პარტიული ორგანიზაციების შემდგომ მუშაობას.

ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის ღირსებისა და სახელის საქმეა ენერგიის დაუზოგავად იბრძოლონ ამხანაგ სტალინის მიერ დასახული საბრძოლო ამოცანის — საქართველოს საკუთარი პურით უზრუნველყოფის ამოცანის განსახორციელებლად. „ჩვენს რესპუბლიკაში, — თქვა საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობაზე ამხ. ა. ი. მგელაძემ, — სოფლის მეურნეობის ყველა პრობლემიდან ახლანდელ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია მარცვლეულის პრობლემა. ჩვენ, საქართველოს კომუნისტებს, უნდა გვახსოვდეს, რომ მარცვლეული მეურნეობის განვითარების გეგმა შედგენილია ისეთი, ვარაუდით, რომ მარცვლეულის პრობლემის გადაჭრის ძირითადი სამუშაოები 1953-1957 წლებში შესრულდეს. მაშასადამე, ის, რაც აქამდე კეთდებოდა, მხოლოდ უმნიშვნელო წილია იმისა, რაც უნდა გაკეთდეს, რომ საქართველო საკუთარი წარმოების მარცვლეულით უზრუნველყოთ.

საქართველოს კომპარტიამ ისე უნდა იმუშაოს, რომ 1957 წლისათვის მთლიანად გადაჭრას მარცვლეულის პრობლემა. ამასთან უნდა გვახსოვდეს, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამაში მოსავლიანობის გადიდება. ჩვენ მნიშვნელოვნად უნდა გადავაჭარბოთ დაგეგმილ მოსავლიანობას, განსაკუთრებით ხორბლის მოსავლიანობას".

ამ მითითების შესასრულებლად სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მუშაკებმა სისტემატური დახმარება უნდა გაუწიონ კოლმეურნეობებს ხორბლის მოყვანის აგროტექნიკის გაუმჯობესების საქმეში. საბჭოთა სელექციონერების მოვალეობაა უფრო გააუმჯობესონ წარმოებაში უკვე ფართოდ დანერგილი დოლის პური და ხორბლის სხვა ჯიშები, აგრეთვე გამოიყვანონ ახალი უხვმოსავლიანი ჯიშები.

XV ყრილობამ დაავალა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩაატარონ საშემოდგომო თესვა და მით მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მომავალი წლის უხვ მოსავალს.

საქართველოს ბოლშევიკებმა ჩაის პრობლემა კარგად გადაჭრეს. მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია, რათა წარმატებით შევასრულოთ პარტიის, საბჭოთა მთავრობის, პირადად ამხანაგ სტალინის მიერ საქართველოს მშრომელთა წინაშე დასახული ამოცანა—სამამულო წარმოების ჩაით საბჭოთა კავშირის მოთხოვნილების დაკმაყოფილების ამოცანა. ჩაის მეურნეობის დარგში პარტიამ მზრუნველობით აღზარდა ისეთი კადრები, რომლებიც შესანიშნავად დაეუფლნენ ჩაის ფოთლის მოყვანისა და გადამუშავების ტექნოლოგიას. მოწინავეთა გამოცდილებაზე დაყრდნობით უნდა მივაღწიოთ ჩაის პლანტაციების მოვლის გაუმჯობესებას, მოსავლიანობის მკვეთრად ამაღლებას. ქუთაისის, აფხაზეთისა და აჭარის საოლქო პარტიულმა ორგანიზაციებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ იმისათვის, რომ უახლოეს დროში შეასრულონ ჩაის კრეფის მიმდინარე წლის სახელმწიფო გეგმა.

ჩვენი სოფლის მეურნეობის დარგებში ყველაზე ნაკლებად მექანიზებულია სამუშაოები ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციებში. პარტიულმა ორგანიზაციებმა ჩაის პლანტაციების სამუშაოთა — პლანტაციების დამუშავების, ჩაის ბუჩქის გასხვლისა და მწვანე ფოთლის კრეფის — მექანიზაციის საკითხებს უაღრესად სერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი. ჩაის სამუშაოთა და მით უმეტეს კრეფის მექანიზაცია დიდი საქმეა. უახლოეს ხანში ჩაის ფოთლის საერთო მოსავლის ორჯერ გადიდება მთელი სიგრძე-სიგანით აყენებს ფოთლის კრეფის მექანიზაციის საკითხის დაჩქარებით მოგვარებას. პარტიულმა ორგანიზაციებმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღკვეთონ ცალკეულ პირთა კონსერვატიზმი და ბიუროკრატიზმი ამ მნიშვნელოვან საქმეში და 1953 წლიდანვე უზრუნველყონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩაის კრეფის მექანიზაციის დანერგვა.

ყრილობის გადაწყვეტილებებში მოცემულია კონკრეტული ღონისძიებები ციტრუსოვანთა განვითარების დარგში. 1955 წელს ციტრუსების ფართობი აყვანილ უნდა იქნას 30.000 ჰექტარამდე.

გათვალისწინებულია თამბაქოს, ყურძნის, ხილის მოსავლიანობის მკვეთრი ზრდა. ყრილობის რეზოლუციაში მთელი ძალით ხაზგასმულია ამ კულტურების მოვლის გადაჭრით გაუმჯობესების აუცილებლობა.

ყრილობამ დაავალა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს უზრუნველყონ მეცხოველეობის განვითარების 1952 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულება, აამაღლონ პირუტყვის პროდუქტიულობა, გაუუმჯობესონ ჯიშობრივი შემადგენლობა, იზრუნონ მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის. ზამთრისათვის საუკეთესოდ მომზადება მეცხოველეთა მიერ საქმით პასუხი იქნება საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობის გადაწყვეტილებებზე.

პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახულია მექანიზაციის დონის შემდგომი ამაღლება, მძლავრი ტექნიკის სრულად, მაღალნაყოფიერად გამოყენება, სოფლის ელექტროფიკაციის, წყალთა მეურნეობის სამუშაოთა გეგმების ზუსტად შესრულება, კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება.

პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად სოფლად ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება. კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები და სპეციალისტები დაუღალავად შრომობენ, რათა ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდნენ ლენინ-სტალინის პარტიის XIX ყრილობას.

საქართველოს კომპარტიის XV ყრილობის გადაწყვეტილებათა ბოლშევიკურად შესრულება უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების მტკიცედ დაცვას, საბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობის მძლავრ აღმავლობას.

უეჭველია, საქართველოს პარტიული ორგანიზაცია ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ახალ გადამწყვეტ წარმატებებს მიაღწიოს მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის დარგში, სასახელოდ შეასრულოს მეხუთე ხუთწლიანი გეგმით დასახული დიადი ამოცანები.

ახალი შესანიშნავი საქმეებით ვუპასუხოთ იმ უდიდეს მზრუნველობას, რომელსაც საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მთავრობა და პირადად დიდი სტალინი იჩენენ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის!

გეგმების შესრულება

ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ შეასრულა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 100 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

* * *

ხობულის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ 100,1 პროცენტით შეასრულა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 30 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

* * *

თელავის რაიონმა 102,5 პროცენტით შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა.

პარკის დამზადება გრძელდება.

* * *

გურჯაანის რაიონმა 102 პროცენტით შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა.

გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 20 ცენტნერი აბრეშუმის პარკი.

* * *

სიღნაღის რაიონმა 100,2 პროცენტით შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა.

პარკის დამზადება გრძელდება.

იმავე რაიონმა 101 პროცენტით შეასრულა თივის დამზადების წლიური დავალება.

თივის დამზადება გრძელდება.

* * *

წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა 102 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების წლიური გეგმა.

რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 400 ცენტნერი მატყლი.

* * *

კაჩრეთის რაიონის კოლმეურნეობებმა 103,3 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების წლიური გეგმა.

კაჩრეთის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 150 ცენტნერი მატყლი.

* * *

თიანეთის რაიონის კოლმეურნეობებმა 103,5 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების წლიური დავალება.

სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარება გრძელდება.

* * *

დმანისის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 20 სექტემბერს 100,5 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების წლიური გეგმა.

მატყლის ჩაბარება გრძელდება.

რაიონმა აგრეთვე 101,1 პროცენტით შეასრულა თივის დამზადების წლიური გეგმა.

თივის დამზადება გრძელდება.

მოწინავე ბრიგადა

წულუკიძის აბრეშუმის ძაფსაღებავი ფაბრიკის კოლექტივი სასახელო საწარმოო მაჩვენებლებით ეგებება პარტიის XIX ყრილობას. ფაბრიკის მუშათა უმრავლესობა სტახანოვურ ვახტზე დგას. ექვსდაზგოსანი ე. ფარცვანია და სტახანოველი ნ. ხვინგია დღიურ ნორმებს სისტემატურად დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. ფაბრიკაში სახელი გაითქვა სტახანოველმა ნ. დომრეჩოვამ. იგი ყოველდღიურ გეგმას 108 პროცენტით ანაღდებს და ნედლეულის მნიშვნელოვან ეკონომიას იძლევა.

მოწინავეთა რიგებში დგას მეორე ცვლის მეორე ბრიგადა, რომელსაც ს. ფირცხალავა ხელმძღვანელობს. ბრიგადის ყველა მუშა გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებას და ზრდის შრომის ნაყოფიერებას. („კომუნისტის" კორ.).

ჩაის ფოთლის დამზადება

საქართველოს ჩაის ტრესტის 20 სექტემბრის ცნობებით

რაიონების დასახელება	გეგმის შესრულება პროცენტობით: წლიურის	სექტემბრის დასაწყისის ათვლით
ბათუმის	87,8	49,7
ქობულეთის	87,0	45,8
ქედის	133,3	400,0
სულ აჭარის ასსრ-ში	**87,2**	**46,8**
გალის	76,7	27,0
ოჩამჩირის	76,3	26,7
გულრიფშის	83,1	35,8
სუხუმის	69,1	8,5
გუდაუთის	92,1	49,2
სულ აფხაზეთის ასსრ-ში	**78,1**	**28,0**
მახარაძის	79,8	27,7
ჩოხატაურის	69,9	11,6
ლანჩხუთის	75,1	19,1
სამტრედიის	61,1	12,5
წულუკიძის	60,4	9,7
ქუთაისის	72,5	9,5
წყალტუბოს	53,6	1,7
ტყიბულის	68,8	13,7
ცხაკაიის	62,7	12,6
აბაშის	48,5	8,2
გეგეჭკორის	78,9	26,7
ზუგდიდის	78,1	30,8
წალენჯიხის	84,3	38,9
ჩხოროწყუს	72,8	18,9
ხობის	66,7	20,7
თერჯოლის	64,9	1,2
ზესტაფონის	64,4	0,8
სულ ქუთაისის ოლქში	**75,4**	**22,8**
სულ საქართველოს სსრ-ში	**77,9**	**26,9**

ბათუმელი მუშები სტახანოვურ ვახტზე

ქალაქ ბათუმის საწარმოთა კოლექტივები, ისევე როგორც ჩვენი დიადი სამშობლოს მილიონობით მშრომელები, სტახანოვურ ვახტზე დგანან და ძალღონეს არ იშურებენ, რათა ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდნენ კომუნისტური პარტიის XIX ყრილობას.

ბათუმელი მენავთობე და მანქანათმშენებელი, მკერავი და მეფეხსაცმელე, მეტყვაკე და მეავეჯე, მეორთქლმავლე და მეავგონე ერთნაირი მონდომებით მუშაობენ იმისათვის, რომ ყოველდღიურად გაადიდონ პროდუქციის გამოშვება, შეამცირონ თვითღირებულება, გაზარდონ შრომის ნაყოფიერება და ამით კიდევ უფრო ძლიერი გახადონ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო.

სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში სულ უფრო ძლიერდება პარტიის XIX ყრილობისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება. ქარხნის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა აგვისტოს გეგმა, 6,9 პროცენტით შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და დაზოგა 93 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია. სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან კომუნისტები ვ. ჩოლოყავა, დ. შაცი, ა. მელაძე და სხვები, რომლებიც მაღალნაყოფიერ შრომას ეწევიან და საუკეთესო ხარისხობრივ მაჩვენებლებსაც აღწევენ.

ყრილობის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ბათუმელი მანქანათმშენებლები, რომლებიც ყოველთვიურად ზრდიან მანქანების გამოშვებას კვების მრეწველობისათვის. ქარხნის კოლექტივმა აგვისტოში თავი დააღწია ჩამორჩენას. მანქანათმშენებლებმა მთლიანად გაანაღდეს ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებები და აგვისტოში კვების მრეწველობას გეგმის გადამეტებით მისცეს 6 ჩაის დამხარისხებელი მანქანა და სხვა მანქანები.

ქარხანაში ამ დღეებში სტახანოვურად შრომობს ამშუობ ზეინკალთა მოწინავე ბრიგადა, რომელსაც ნ. ფილიპოვი ხელმძღვანელობს. ბრიგადა სწრაფი ტემპით აწყობს თამბაქოს დამტენიანებელი მანქანის პირველ საცდელ ეგზემპლარს.

პარტიის XIX ყრილობის წინა დღეებში მაღალნაყოფიერად შრომობენ ბათუმის კოფეინის საწარმოს მუშებიც, რომლებიც გეგმის გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად მთლიანად პირველხარისხოვან პროდუქციას უშვებენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეაპარატეების ე. შაქარიშვილის, ი. ბოლგარინას, კრისტალიზატორების თ. ძინბას, ნ. დიდენკულის და ზეინკალ ვ. ჩერკავსკის სტახანოვური შრომა.

ბათუმელმა მევაგონეებმა აგვისტოში გეგმის გადამეტებით საშუალო, კაპიტალური და წლიური შეკეთებიდან 7 სატვირთო და 7 სამგზავრო ვაგონი გამოუშვეს. მევაგონეთა მაღალნაყოფიერი შრომის ავანგარდში დგანან დეპოს საუკეთესო სტახანოველები მ. სანაძე, ა. მანჯგალაძე, ი. სამანიშვილი, გ. კაშია და კ. წულაია, რომლებიც დღეში 1,5-2 ნორმას ასრულებენ.

დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

გაანაღდეს ხუთი წლის ნორმები

პარტიის XIX ყრილობისათვის მზადების დღეები დიდი საწარმოო აღმავლობით აღინიშნება თბილისის სამსხმელო-მექანიკურ ქარხანაში. საწარმოს კოლექტივმა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივის თაოსნობის საპასუხოდ ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება და 9 თვის გეგმა 10 სექტემბრისათვის 102,5 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია მრავალი სახარატო ჩარხი. ეს წარმატება მოპოვებულ იქნა იმით, რომ ქარხანაში სრული სიმძლავრით გამოიყენეს მოწყობილობა და განახორციელეს ბევრი მნიშვნელოვანი რაციონალიზატორული ღონისძიება.

ხარატმა ი. ტიბილაშვილმა, რომელიც ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე დგას, მეოთხე სტალინური ხუთწლედის დამთავრების შემდეგ ექვსნახევარი წლის დავალება შეასრულა. მან მოახდინა ელექტროღუმელის რეკონსტრუქცია, რის შედეგად შესაძლებელი გახდა ღუმელში გამოსაწრთობი დეტალების დიდი რაოდენობის ჩაწყობა, გაუმჯობესა რკინის ცემენტაციის ტექნოლოგია, რამაც ერთიორად შეამცირა ელექტროენერგიისა და კალცინირებული სოდის ხარჯვა.

ლითონის ჩქაროსნული ჭრის ოსტატმა, ნოვატორმა ხარატმა ი. გორბაჩოვმა გამოიყენა საკუთარი კონსტრუქციის ხელსაწყოები, ახალი საჭრელი ინსტრუმენტები და შეამცირა სახარატო ჩარხის ბევრი დეტალის დამუშავების დრო. ის ახლა პროდუქციას იძლევა 1956 წლის ანგარიშში. ხუთი წლის ნორმა შეასრულეს აგრეთვე მრავალდაზგოსანმა მრანდავმა ვ. ვოლკოვმა და ზეინკალმა მ. სივცოვმა.

დიდ წარმატებას აღწევენ აგრეთვე მჭედელი მ. ყველაშვილი, მჩხეველი ფ. კრომინი და მღებავი მ. სარჭისოვი. ასევე მაღალნაყოფიერად შრომობენ ზეინკლები მ. ლონგურაშვილი, ო. გოგიჩაიშვილი, ხარატი გ. კობახიძე, რომლებმაც ოთხი-სამი წლის ნორმა გამოიმუშავეს.

წელს ქარხანამ აითვისა ჩაის წნეხფორმის წარმოება. უკვე გამოშვებულია 82 წნეხფორმა. ქარხნის კოლექტივს განზრახული აქვს ყრილობის გახსნის დღისათვის გამოუშვას კიდევ 50 ცალი.

12 სექტემბრიდან ქარხანაში დაიწყეს ელბაქიძის ახალი ხიდისათვის მოაჯირის დამზადება არქიტექტორ მ. მელიას პროექტის მიხედვით. ეს პასუხსაგები საქმე დიდ მონდომებას და დახელოვნებას მოითხოვს. ლითონსამსხმელო საამქროს კოლექტივმა წარმატებით აითვისა ახალი სამუშაო და უკვე ჩამოასხა მოაჯირის რამდენიმე ნაწილი. ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ ხიდის თუჯის მოაჯირის ჩამოსხმა მთლიანად მოათავონ ნოემბრის ბოლომდე.

ამჟამად ქარხნის კოლექტივი ენერგიის დაუზოგავად იბრძვის, რათა 7 ნოემბრისათვის შეასრულოს წლიური დავალება, გეგმის გადამეტებით გამოუშვას სხვადასხვა სახის პროდუქცია და სამშობლოს მისცეს ასეულ ათასობით მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

ვალდებულებებს გადაჭარბებით ასრულებენ

თბილისის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხნის კოლექტივი უდიდესი პატრიოტული აღმავლობით აღნიშნავს ლენინ-სტალინის პარტიის მორიგ XIX ყრილობისათვის მზადების ისტორიულ დღეებს.

— ახალი საწარმოო გამარჯვებებით შევხვდეთ მშობლიური პარტიის ყრილობას, პირნათლად შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულებები! — ამ ლოზუნგებით იბრძვიან ამ დღეებში ქარხნის საამქროთა კოლექტივები, ბრიგადები, თვითეული მუშა.

მეორე ამწყობი საამქროს კოლექტივმა 150 პროცენტით შეასრულა სექტემბრის ორი დეკადის დავალება და ახლა თავდადებით იბრძვის, რომ სექტემბრის გეგმა შეასრულოს 25 რიცხვისათვის, ხოლო 5 ოქტომბრამდე გაანაღდოს ოქტომბრის პირველი დეკადის დავალება.

სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდა ზეინკალთა ბრიგადა, რომელსაც სტახანოველი ა. ხიზანიშვილი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ, რომელიც მესამე თვეა მტკიცედ ინარჩუნებს ქარხნის გარდამავალ წითელ დროშას, აგვისტოს გეგმა 178,4 პროცენტით შეასრულა. მან სექტემბერში კიდევ უფრო გააძლიერა მუშაობა და ყოველდღიურ დავალებას 200 პროცენტით ანაღდებს.

ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე დგას და მაღალნაყოფიერი შრომის მაგალითს იძლევა საიარაღო საამქროს ზეინკალი ვ. კვინიკაძე. მეორე ამწყობ საამქროში საჭირო იყო სამი სალესი დაზგის დამონტაჟება. ეს საამქროს საშუალებას მისცემდა ადგილობრივ გაელესა მაკრატლები და ამით შეემცირებინა საამქროთაშორისი გადაზიდვა. ამ სამუშაოთა შესრულება სტახანოველმა კვინიკაძემ იკისრა. მან უკვე დაამონტაჟა სამივე სალესი დაზგა, რითაც ნაკისრი ვალდებულება დიდი გადაჭარბებით გაანაღდა.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ანაღდებენ აგრეთვე ზეინკლები მ. მზარეულიშვილი, კ. ბუბანაშვილი, დ. შემარნიშვილი და დამყალიბებელი ი. ჯიშკარიანი, რომელთა ყოველდღიური გამომუშავება 200 პროცენტს აღემატება.

თბილისს ჩამოვიდა სსრ კავშირთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის ინგლისის საზოგადოებათა გაერთიანებული დელეგაცია

19 სექტემბერს თბილისს ჩამოვიდა სსრ კავშირთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის ინგლისის საზოგადოებათა გაერთიანებული დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების მოწვევით. დელეგაციას მეთაურობს ჰარი ვეტონი.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან ინგლისელი საზოგადო მოღვაწეები, პროფკავშირების, ინტელიგენციის წარმომადგენლები, ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების, „შოტლანდია-სსრ კავშირის" საზოგადოებისა და სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების აქტივისტები.

სტუმრებს აეროდრომზე შეხვდნენ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ვ. გოგუაძე, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების მოადგილე ა. ეღენტი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პასუხისმგებელი თანამშრომლები და საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

დელეგაციის წევრები გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს.

სტუმრები რამდენიმე დღეს დარჩებიან საქართველოში. (საქდესი).

კანონის საწინააღმდეგო მოქმედებისა და პროვოკაციული ლაყბობისათვის—სასჯელ პასუხისგებაში

კანონის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის, პროვოკაციული ლაყბობისა და ყოფაცხოვრებაში თავაშვებულობისათვის ვასილ ვლადიმერის-ძე სიხარულიძე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიმდინარე წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილებით გარიცხულია საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებიდან და მისი საქმე გადაეცა რესპუბლიკის პროკურატურას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XV ყრილობა

კამათი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებაზე

ამხ. ი. დ. კოჭლამაზაშვილის სიტყვა

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე

ამხანაგებო! ყრილობისადმი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში მოცემულია იმ მდგომარეობის ღრმა ანალიზი, რომელიც საქართველოს კომპარტიაში შეიქმნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობისა და პირველ რიგში მისი ყოფილი მდივნის ჩარკვიანის მუშაობის მანკიერი სტილის შედეგად.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებები, ამხანაგ სტალინის მითითებები დაგვეხმარა გამოგვეაშკარავებინა სერიოზული პოლიტიკური შეცდომები და ჩავარდნები საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუშაობაში. ახლა განსაკუთრებით ცხადი გახდა საბჭოთა კანონიერებისა და საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების საქმისათვის, სახელმწიფოს ინტერესთა მტკიცედ დაცვის სულისკვეთით პარტიის წევრთა და კანდიდატთა და საქართველოს ყველა მშრომელის აღზრდის საქმისათვის მიყენებული უდიდესი ზიანი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის უზრუნველობამ და უდარდელობამ გამოიწვია ცალკეული პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სხვა ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის შემცირება, კომუნისტთა მნიშვნელოვანი ნაწილის სიფხიზლის შესუსტება.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობა ახორციელებს ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული სერიოზული პოლიტიკური შეცდომებისა და ჩავარდნების შედეგების უსწრაფესი ლიკვიდაციისაკენ მიმართულ მთელ რიგ ღონისძიებებს, ბოლშევიკური ენერგიითა და სიმტკიცით ამყარებს წესრიგს ჩვენი ცხოვრების ყველა დარგში, გარდაქმნის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობას.

როგორც ცნობილია, პროფესიული კავშირები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მასების დარაზმვაში კომუნისტური მშენებლობის ამოცანების შესრულებისათვის საბრძოლველად.

პროფკავშირები, რომლებსაც კულტურულ დაწესებულებათა მნიშვნელოვანი ქსელი აქვთ, აქტიურად ეხმარებიან პარტიას იმ უდიდეს მუშაობაში, რასაც იგი მუშა-მოსამსახურეთა კომუნისტური აღზრდისათვის ეწევა.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პროფკავშირების წევრთა რიცხვი 77 ათასი კაცით გაიზარდა; პროფკავშირული აქტივი 200 ათას კაცს აღემატება.

როგორც საანგარიშო მოხსენებაში იყო აღნიშნული, რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობას ბევრი სერიოზული ნაკლი ახასიათებს. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მუშაობის მანკიერ სტილს არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა რესპუბლიკის პროფსაბჭოს, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაზე. ეგზულებელყოფდა რა პროფკავშირებს, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობა არათუ არ უწევდა მათ პრაქტიკულ დახმარებას, არამედ პროფკავშირებში ხელმძღვანელ სამუშაოზე გზავნიდა ისეთ ადამიანებს, რომლებმაც თავიანთ წინანდელ თანამდებობებზე ჩაშალეს მუშაობა. შემთხვევითი როდი იყო, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში არაფერი იყო ნათქვამი პროფკავშირების მუშაობის შესახებ. შემთხვევითი როდი იყო, რომ ბევრი პარტიული ორგანიზაცია არ ხელმძღვანელობდა პროფკავშირებს, არ ეხმარებოდა მათ მუშაობაში. მათს მაგალითს მისდევდნენ სამეურნეო ხელმძღვანელებიც, რომლებიც, როგორც ჩანს, ფიქრობდნენ, რომ პროფკავშირულ მუშაობას უნდა ეწეოდნენ მხოლოდ პროფკავშირული მუშაკები, არ ესმოდათ, რომ პროფკავშირული მუშაობა ცხოვრებას მოწყვეტილი, რაღაც განცალკევებული დარგი კი არ არის, არამედ მოიცავს რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული ცხოვრების, ყველა მშრომელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკლებლივ ყველა მხარეს.

ზოგიერთი სამეურნეო მუშაკის მიერ პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივი და რესპუბლიკური კომიტეტების უგულებელყოფა თავს იჩენდა და ზოგან ახლაც იჩენს იმით, რომ არ ასრულებენ პროფკავშირული ორგანიზაციების სწორ მოთხოვნებს. ეს თავს იჩენს აგრეთვე იმით, რომ მთლიანად და დროზე არ ახორციელებენ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებისა და პროფკავშირული კომიტეტების დადგენილებებს, უკანონოდ იყენებენ ზედმეტ სამუშაოებს, უგულებელყოფენ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების სხვადასხვა კომისიების მუშაობას, რომლებშიც, როგორც ცნობილია, მონაწილეობს აქტივისტთა უდიდესი რაოდენობა და რომლებსაც მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით მშრომელთა კომუნისტური აღზრდაში.

ასეთი სამეურნეო მუშაკები, როგორც ცნობილია, ამჯობინებენ თავიანთი მუშაობა შიშველი ადმინისტრირებით განსაზღვრონ.

პროფკავშირული ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ მუშა-მოსამსახურეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, მათს სამედიცინო მომსახურებას, არ ახორციელებდნენ ჯეროვან საზოგადოებრივ კონტროლს მაღაზიების, სასადილოების მუშაობის მიმართ, მტკიცე ბრძოლას არ ეწეოდნენ საწარმოებში შრომის პირობების დარღვევის წინააღმდეგ.

ბევრი პროფკავშირული ორგანიზაცია არ იღებდა საჭირო ღონისძიებებს სოციალისტურ შეჯიბრებაში ფორმალიზმის აღმოსაფხვრელად, არ წარმართავდა შეჯიბრებას ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის საბრძოლველად, მტკიცედ არ მუშაობდა შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვისათვის, არ ზრუნავდა მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა საქმიანი კავშირის გაძლიერებისათვის.

სახელმწიფო გეგმების შესრულების საშუალო ციფრებს იქით პროფსაბჭო და რესპუბლიკური კომიტეტები ზოგჯერ ვერ ამჩნევდნენ ჩავარდნებს ცალკეულ საწარმოთა მუშაობაში, არ ატარებდნენ საჭირო ზომებს, რომ ბოლო მოეღოთ ამ სამარცხვინო მოვლენისათვის, დახმარებოდნენ ჩამორჩენილ საწარმოებს გამოსულიყვნენ მოწინავეთა რიგებში.

სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში ნაკლოვანებანი პირველ რიგში იმის შედეგი იყო, რომ პროფკავშირთა ბევრი რესპუბლიკური კომიტეტი, სამინისტროები და უწყებები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ და არ აქცევენ ამ მნიშვნელოვან საქმეს, დახმარებას არ უწევდნენ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებსა და საწარმოთა ხელმძღვანელებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში, საწარმოო-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებაში.

სამწუხაროდ, იძულებული ვართ აღვნიშნოთ ისეთი ფაქტი, რომ ტექნიკური კულტურების სამინისტროს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ტრესტებს „საქჰიდროენერგომშენს“, „საქმშენს“, „თბილისმშენს“ და ზოგიერთ სხვა ორგანიზაციას რამდენიმე წლის განმავლობაში ერთხელაც არ განუხილავთ საკითხი, თუ რა მდგომარეობაშია საწარმოებში და მშენებლობებზე სოციალისტური შეჯიბრება, რაციონალიზაცია და გამომგონებლობა. ისინი, ჩანს, ფიქრობენ, რომ ეს მხოლოდ პროფკავშირების საქმეა.

უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ჩარხმშენებლობის, საკვები და საფეიქრო მრეწველობის ზოგიერთ საწარმოში კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების ანალიზი გვიჩვენებს, რომ კოლექტიურ ხელშეკრულებათა მამობილიზებელი მნიშვნელობა ცალკეულ შემთხვევებში მცირდება იმის გამო, რომ ზოგიერთი სამეურნეო და პროფკავშირული მუშაკი უსულგულოდ ეკიდება ორმხრივ ვალდებულებათა შესრულებას. ასეთი მუშაკები ცდილობენ არ შეიტანონ კოლექტიურ ხელშეკრულებაში ვალდებულებანი შინაგანი რეზერვების გამოყენების შესახებ, წარმოების ხარისხობრივი და ეკონომიური მაჩვენებლების, მუშა-მოსამსახურეთა საბინაო-საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების გაუმჯობესების შესახებ.

პარტიამ და მთავრობამ პროფკავშირებს მიანიჭეს მაღაზიებისა და სასადილოების მუშაობაზე საზოგადოებრივი კონტროლის უფლება, მაგრამ ამ უფლებას ცუდად იყენებენ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების, რესპუბლიკური კომიტეტებისა და პირველ რიგში პროფსაბჭოს მიზეზით. მოკლებული იყო რა დახმარებასა და ხელმძღვანელობას პროფკავშირული ორგანიზაციების მხრივ, საზოგადოებრივ კონტროლიორთა მრავალრიცხოვანი აქტივი უმოქმედოდ იყო.

ბევრი რესპუბლიკური, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტი სუსტად მუშაობდა მუშა-მოსამსახურეთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე, ამ საქმეში არ აბამდა ფართო პროფკავშირულ აქტივს. მთელ რიგ შემთხვევებში პროფკავშირული კომიტეტები ნამდვილ ბრძოლას არ ეწეოდნენ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ, ზოგჯერ აღმაფოთებელი უმსგავსოების წინააღმდეგაც კი.

პროფკავშირული ორგანიზაციები, რომლებსაც კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მნიშვნელოვანი ქსელი აქვთ, ძლიერ სუსტად ასრულებდნენ მათთვის დაკისრებულ საპატიო ამოცანებს მშრომელთა კომუნისტური აღზრდის დარგში.

ბევრი კულტურული დაწესებულება ისე მუშაობდა, რომ მოწყვეტილი იყო საწარმოებისა და ორგანიზაციების ცხოვრებას. ბევრი რესპუბლიკური, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტის მუშაობაში სჭარბობდა უგეგმობა და ფორმალიზმი. ადგილებისადმი ცოცხალ, ოპერატიულ ხელმძღვანელობას ხშირად სცვლიდნენ მიწერ-მოწერით, სასხდომო ფუსფუსით; სუსტად იყო განვითარებული თვითკრიტიკა და ქვემოდან კრიტიკა, ცუდად იყო მოწყობილი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება. ყველა ეს არსებითი ნაკლი აღნიშნულია საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში, რომელმაც მიმდინარე წლის მარტში განიხილა ანგარიში საქართველოს პროფსაბჭოს მუშაობის შესახებ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილისა და შემდგომი პლენუმების შემდეგ, რომელთა დადგენილებებსაც საფუძვლად დაედო საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი და ამხანაგ სტალინის მითითებანი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროფკავშირებისადმი პარტიული ხელმძღვანელობა, რამაც უზრუნველყო მათი მუშაობის გარდაქმნა. მაგრამ პროფკავშირთა ბევრი რესპუბლიკური, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტის მუშაობაში ჯერ კიდევ ამა თუ იმ სახით რჩენს თავს სერიოზული ნაკლოვანებანი. ცოტა ნაკლოვანებანი როდია საქართველოს პროფსაბჭოს მუშაობაშიც.

ყრილობისადმი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიული ორგანიზაციების წინაშე დასახულია ამოცანა — გააძლიერონ პროფკავშირებისადმი პარტიული ხელმძღვანელობა. ეს უეჭველია დაეხმარება მათ ბოლომდე აღმოფხვრან ნაკლოვანებანი თავიანთ მუშაობაში.

მრავალრიცხოვან პროფკავშირულ აქტივზე დაყრდნობით პროფსაბჭო, პროფკავშირთა რესპუბლიკური, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტები, რომლებიც თავიანთ მუშაობას საფუძვლად უდებენ ადგილებისადმი ცოცხალ ოპერატიულ დახმარებას, ხელს უწყობენ თვითკრიტიკისა და ქვემოდან კრიტიკის განვითარებას, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ყოველდღიური დახმარებით მთლიანად შეასრულებენ იმ ამოცანებს, რომლებიც მათ დასახული აქვთ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XV ყრილობისადმი.

პროფესიული კავშირები მუდამ იყვნენ, არიან და იქნებიან პარტიის ერთგული და საიმედო თანაშემწეები ლენინ-სტალინის დიადი საქმის საბოლოო გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

დიდება მშრომელთა ბრძენ ბელადს ამხანაგ სტალინს! **(მჭუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

ამხ. ა. გ. იმნაძის სიტყვა

საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი

ამხანაგებო! პარტიის, მთავრობისა და პირადად ამხანაგ სტალინის უდიდესი ყურადღებისა და დახმარების შედეგად სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიულმა ორგანიზაციამ საანგარიშო პერიოდში ერთგვარ წარმატებებს მიაღწია სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

ჯერ კიდევ 1932 წელს ამხანაგ ლ. პ. ბერიას მითითებით პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა მიიღო გადწყვეტილება, რომელშიც განსაზღვრული იყო ოლქის მრეწველობის შემდგომი განვითარების ძირითადი ამოცანები.

ახორციელებდნენ რა ამ გადაწყვეტილებას, სამხრეთ ოსეთის კომუნისტებმა დიდი მუშაობა გასწიეს და დღეს სიამაყით მოახსენებენ XV ყრილობას, რომ იმ მადნეულ წიაღისეულთა მდიდარი საბადოები, რომლებითაც ბუნებას უხვად დაუჯილდოებია სამხრეთ ოსეთი, ისევე როგორც საქართველოს უკლებლივ ყველა კუთხე, ჩაყენებულია ჩვენი დიდი სამშობლოს სამსახურში.

გაფართოვდა და ახალი ტექნიკით აღჭურვა რესპუბლიკური დაქვემდებარებისა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები.

მთელი რიგი წარმატებანი მიღწეულია სოფლის მეურნეობაშიც. 1951 წელს მარცვლეული კულტურების ფართობი 1950 წელთან შედარებით 1.000-ზე მეტი ჰექტარით გადიდდა. ამაღლდა მოსავლიანობა.

მიმდინარე წლის 15 სექტემბრის ცნობებით მარცვლეულის დამზადების გეგმა (სიმინდის ჩაუთვლელად) შესრულებულია 106 პროცენტით. ასევე წარმატებით სრულდება სახელმწიფოსათვის სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის ჩაბარების გეგმები.

ოლქის სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენს მეცხოველეობა. ახორციელებენ რა პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანებს მეცხოველეობის განვითარების დარგში, სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებმა 1949-1951 წლებში მიაღწიეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდას 11,9 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—13,2 პროცენტით, ღორისა—80,4 პროცენტით, ფრინველისა—136 პროცენტით. ყველა კოლმეურნეობას მეცხოველეობის ოთხოთხი ფერმა აქვს.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მეცხოველეობის განვითარებაში ჩვენი მუშაობა სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება. სოფლის მეურნეობის ეს დარგი ჯერჯერობით ჩამორჩენილია. ჯერ კიდევ დაბალია პირუტყვის პროდუქტიულობა.

ოლქის კოლმეურნეები სერიოზულ ყურადღებას აქცევენ მეხილეობასა და მევენახეობას. ამ კულტურებით დაკავებული ფართობი წლითიწლობით დიდდება. განუწყვეტლივ მაღლდება სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.

კოლმეურნე გლეხობამ XV ყრილობა ახალი წარმატებებით აღნიშნა. ამ დღეებში დამთავრდა ვანათის სარწყავი სისტემის მშენებლობა. იგი წყალით უზრუნველყოფს ოლქისა და მეზობელი გორის რაიონის 4.000 ჰექტარზე მეტ საკოლმეურნეო მიწებს.

დიდი მუშაობა წარმოებს სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობათა ელექტროფიკაციის დარგში. ილიჩის ნათურა აინთო ყველაზე შორეულ და მაღალმთიან სოფლებში.

სამუდამოდ ბარდება წარსულს ძველი ცხინვალი მისი ქოხმახებით, ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული, ტალახში ჩაფლული ქუჩებით. გაიზარდა ახალი ქალაქი — სოციალისტური სტალინირი, განიერი ლამაზი ქუჩებითა და მოედნებით.

ქალაქის ნამდვილი მშვენება გახდა ამხანაგ სტალინის სახელობის მოედანი. მოედნის ცენტრში აღმართულია ბელადის მონუმენტი, რომელიც დადგმულია ჯავის რაიონის სოფელ ციფჯინის კოლმეურნეთა ხელით მოპოვებული რუხი გრანიტის ლოდებზე.

ქალაქის კეთილმოწყობისათვის მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს.

სტალინირის ზრდასთან და მთელი რიგი სამრეწველო საწარმოების ამოქმედებასთან დაკავშირებით, არსებული წყალსადენი ვეღარ აკმაყოფილებს ქალაქის მზარდ მოთხოვნილებას წყალზეგაითვალისწინეს რა შექმნილი მდგომარეობა, ოლქის ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ორი წლის წინათ დააყენეს საკითხი ახალი წყალსადენის მშენებლობის შესახებ, მაგრამ ეს საკითხი გადაუჭრელი დარჩა.

ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები დარწმუნებული არიან, რომ ქალაქ სტალინირის კარგი სასმელი წყალით უზრუნველყოფის საკითხი უახლოეს ხანში დადებითად გადაიჭრება.

სარგებლობდა რა უკონტროლობით, ტრესტი საქმშენი სრულიად უპასუხისმგებლოდ მოეკიდა სტალინირში სამშობიარო სახლის მშენებლობას. სამუშაოთა დაწყებიდან თითქმის 3 წელი გავიდა, დახარჯულია 435 ათასი მანეთი, მშენებლობას კი დამთავრება არ ეღირსა.

ჯერ კიდევ 1950 წელს გამოირკვა, რომ კაშხალი კეხვის ჰიდროელექტროსადგურისა, რომელიც ელექტროენერგიას აწვდის ქალაქ სტალინირს, ავარიულ მდგომარეობაშია და გადაუდებელ რემონტს საჭიროებს. ამ სამუშაოთა შესრულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ტრესტ საქსოფლელექტროს დაავალა. მას შემდეგ სამი წელიწადი გავიდა, კაშხალი კი წინანდელ მდგომარეობაშია. ამ ხნის განმავლობაში ტრესტს, კომუნალური მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შორის წარმოებდა დაუსრულებელი მიწერ-მოწერა და დისკუსია იმის შესახებ, თუ რა წესით შეკეთდეს ეს უბედო კაშხალი...

უკვე დროა ტრესტ საქსოფლელექტროში საჭირო წესრიგი დამყარდეს.

ამხანაგებო! ასრულებდნენ რა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებას „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი საკუთრების დატაცების, განიავებისა და გამომძალველობისაგან დაცვის შემოწმების შედეგების შესახებ“, სამხრეთ ოსეთის პარტიულმა ორგანიზაციებმა გააჩაღეს ულმობელი ბრძოლა საკოლმეურნეო საკუთრების დამტაცებლებთან, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების განუხრელად დაცვისათვის. სასტიკად დაისაჯნენ ის პირები, რომლებიც არღვევდნენ წესდებას, ეწეოდნენ საზოგადოებრივი დოვლათის დატაცებასა და მითვისებას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შემდეგ ოლქის პარტიულმა ორგანიზაციებმა ბევრად გააძლიერეს ყურადღება პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებისადმი.

პარტიულმა კომიტეტებმა გააუმჯობესეს ხელმძღვანელობა პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი. პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებების, რაიონული, საქალაქო და საოლქო პარტიული კონფერენციების შედეგები მოწმობენ, რომ ოლქის პარტიული ორგანიზაციების ცხოვრება სისხლსავსე ხდება.

პარტიული კონფერენციების დელეგატებმა მკაცრად გააკრიტიკეს პარტიის რაიონული კომიტეტების, საქალაქო კომიტეტისა და საოლქო კომიტეტის საქმიანობა.

ამჟამად პირველადი პარტორგანიზაციების დიდ უმრავლესობაში კრებები რეგულარულად, უფრო მაღალ დონეზე ეწყობა. გაცილებით უფრო ხშირად იმართება პარტიული კომიტეტების პლენუმები.

მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა მიგვიჩნია, რომ ოლქის პარტიულმა ორგანიზაციებმა უკვე დაამთავრეს თავიანთი მუშაობის ისე გარიგებენ, როგორც ამას მოითხოვენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, პირადად ამხანაგ სტალინის მიერ საქართველოს კომპარტიის წინაშე დასახული დიდი ამოცანები. წინ კიდევ დიდი მუშაობა მოგველის.

საჭიროდ მიმაჩნია შევჩერდე სამხრეთ ოსეთში ადგილობრივი ნაციონალიზმის გამოვლინებებთან ბრძოლის საკითხებზე.

ნაციონალისტურად განწყობილი ელემენტები, რომლებიც გაძვრნენ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების ხელმძღვანელობაში და მის ორგანოში — ყოველთვიურ სალიტერატურო-მხატვრულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალ „ფიდიუაგში“, ყოველნაირად ცდილობდნენ გაეღვივებინათ ეროვნული შუღლი, ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს ლიტერატურაში აპოლიტიკურ, ანტიმხატვრულ, იდეოლოგიურად მავნე ნაწარმოებთა გაპარებას.

მე-8 კლასის ქრესტომათიაში, რომელიც სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ 1948 წელს გამოუშვა, შეტანილია გადიეევის მანკიერი ნაციონალისტური პიესა „ოს-ბაღათური“.

ამჟამად ზოგიერთი მწერლის ნაციონალიზმი თავს იჩენს იმით, რომ ისინი გვერდს უვლიან თანამედროვეობას და მიმართავენ შორეულ წარსულს, აიდეალებენ ძველ ყოფას. მაგალითად, მწერალ ვ. ბეგიზოვის ბევრ ნაწარმოებში შექებულია ყოველივე ძველი, დიდიხნის დრომოჭმული და თვით ცხოვრების მიერ უკუგდებული. ამას წინათ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილებაში მის ნაწარმოებთა განხილვის დროს ბეგიზოვმა განაცხადა, რომ მას თანამედროვე თემებზე წერა არ შეუძლია.

ბურჟუაზიულ - ნაციონალისტურია ე. ბრიტაევის პიესა „რუსეთიდან დაბრუნებულნი“, რომელიც სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ 1950 წელს გამოსცა. წინათ ეს პიესა კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე დაიდგა.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება საქართველოს მხატვართა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების საქმიანობა. მან ვერ შეძლო მიეპყრო მხატვართა ყურადღება თანამედროვე თემატიკაზე, წარემართა მათი შემოქმედებითი ღონისძიებანი იმისაკენ, რომ ისინი მხატვრულ ნაწარმოებებში ასახავდნენ დიად გარდაქმნებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ხდება.

უკანასკნელ დრომდე სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის რეპერტუარი ძლიერ დანაგვიანებული იყო უიდეო, მავნე სიმღერებით.

ყველა ეს საკითხი განიხილა სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ. საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობით წარმოებს გადამწყვეტი ბრძოლა იდეოლოგიურ დამახინჯებათა წინააღმდეგ.

მიღებულია ზომები საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და მხატვართა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილებათა საქმიანობის გადაჯერით გაუმჯობესებისათვის, რაც უკვე იძლევა დადებით შედეგებს.

ამხანაგებო! სამხრეთ ოსეთის პარტიული ორგანიზაცია და ოლქის ყველა მშრომელი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას პარტიის მორიგი XIX ყრილობის მოწვევის შესახებ.

ოლქის კომუნისტები, ყველა მშრომელნი დიდი ინტერესით სწავლობენ მასალებს საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობისათვის, მთლიანად და სავსებით იწონებენ მათ.

პარტიულ ორგანიზაციებში XIX ყრილობის მასალების ფართო განხილვა ხელს უწყობს კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას, პარტიული მასების აქტივობისა და თვითმოქმედების ზრდას.

ემზადებიან რა პარტიის XIX ყრილობისათვის, სამხრეთ ოსეთის კომუნისტები ყველა ღონისძიებას ახმარენ იმას, რომ ბოლომდე გარდაქმნან პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა საქართველოს კომპარტიის წინაშე დასახული ახალი დიდი ამოცანების მიხედვით, თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ გადაწყვეტილებათა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის, ჩვენი მშობლიური და საყვარელი ამხანაგ სტალინის მითითებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. **(მჭუხარე ტაში).**

ამხ. რ. ს. კანდელაკის სიტყვა

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ამხანაგებო! რესპუბლიკის კომკავშირის ცხოვრებაში საანგარიშო დროის მანძილზე მკაფიოდ გამოიყოფა ორი პერიოდი. პირველი პერიოდია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმამდე. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ნაკლოვანებებმა და შეცდომებმა, დიდმა პოლიტიკურმა ჩავარდნამ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მუშაობაში, პირადპირი გავლენა მოახდინა რესპუბლიკის კომკავშირისა და მისი ცენტრალური კომიტეტის საქმიანობაზეც. რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებში ცუდად იყო დაყენებული მუშაობა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის, ირღვეოდა შინაკომკავშირული დემოკრატია, გაშლილი არ იყო თვითკრიტიკა და კრიტიკა, განსაკუთრებით კრიტიკა ქვემოდან, დაშვებული იყო უხეში შეცდომები კომკავშირული კადრების შერჩევასა, განაწილებასა და აღზრდაში.

მეორე პერიოდია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შემდეგ, როცა მისი ახალი ხელმძღვანელობა მტკიცედ შეუდგა ნაკლოვანებებისა და უხეში შეცდომების გამოსწორებას. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობის მხრივ მზრუნველი დამოკიდებულების მეოხებით რესპუბლიკის კომკავშირის მუშაობა მკვეთრად იწყებს გაუმჯობესებას.

საქართველოს კომკავშირის XIX ყრილობამ, რომელიც მომდინარე წლის მაისში შედგა, გაშლილი ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა. ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულება დაგვეხმარა რამდენადმე გაგვეუმჯობესებინა რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა. გაძლიერდა მუშა ახალგაზრდობის შრომითი აქტივობა. სტალინის სახელობის რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის, ჭიათურის მაღაროებისა და ტყვარჩელის შახტების კომკავშირელები და ახალგაზრდები გადაჭარბებით ასრულებენ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს. რესპუბლიკის სოფლის ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობს საკოლმეურნეო შრომაში. დიდი ყურადღება ექცევა ახალგაზრდობის პოლიტიკურ განათლებასა და კომუნისტურ აღზრდას. გაუმჯობესდა სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობა.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს წარმატებანი ჩვენს მუშაობაში მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. ისინი უფლებას არ გვაძლევენ თვითდამშვიდებას მივცეთ, მით უმეტეს, რომ კომკავშირის და კერძოდ მისი ცენტრალური კომიტეტის მუშაობას ჯერ კიდევ ახასიათებს არსებითი ნაკლოვანებანი. ცენტრალური კომიტეტი, მისი ბიურო და განყოფილებანი, ბევრი საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტი ჯერ კიდევ ნაკლებად ეხმარებიან პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებს.

კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა და ქუთაისის საოლქო კომიტეტმა მეტი დახმარება უნდა გაუწიონ კომკავშირის ტყიბულის რაიკომს და შახტების პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებს, მიაღწიონ იმას, რომ საწარმოთა ხელმძღვანელები უფრო მეტად ზრუნავდნენ ახალგაზრდა მეშახტეების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ტექნიკური სწავლების გაუმჯობესებისათვის. აღსანიშნავია, რომ დღემდე გადაჭრილი არ არის მსხვილ საწარმოებთან მუშა ახალგაზრდობის სკოლების გახსნის საკითხი.

თავის გამოსვლაში საქართველოს კომკავშირის XIX ყრილობაზე ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ აღნიშნა, რომ „სოფლის კომკავშირელები და ახალგაზრდობა მოწოდებული არიან განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში“... სამწუხაროდ, სოფლის კომკავშირულ ორგანიზაციებს დღემდე ვერ გარდაუქმნიათ მუშაობა, ვერ გადაუწყვეტიათ ეს ამოცანა. მათი მუშაობა ჯერ კიდევ ხასიათდება სერიოზული ნაკლოვანებებით. ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი თავს არიდებს საზოგადოებრივ შრომას. განსაკუთრებით ბევრია ასეთი ფაქტები გურჯაანისა და აბაშის რაიონებში, სადაც კომკავშირული ორგანიზაციები ცუდად აწყობენ სოფლის ახალგაზრდობის პოლიტიკურ აღზრდას.

მინდა ყრილობის ყურადღება შევაჩერო ერთ მტკივნეულ საკითხზე. საქმე ეხება ახალგაზრდობას, რომელსაც აქვს დამთავრებული საშუალო ან უმაღლესი განათლება და თავის ცოდნას არ იყენებს, არ მუშაობს. ასეთი კომკავშირელები განსაკუთრებით ბევრია ქალაქ თბილისში, აჭარაში, ქუთაისში, ფოთში და სხვ. ისინი ყველანი მიმაგრებული არიან პირველადს კომკავშირულ ორგანიზა

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XV ყრილობა

კამათი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა შესახებ

ამხ. რ. ს. კანდელაკის სიტყვის დასასრული

მუშაობა გასწიეს იმისათვის, რომ ორგანიზებულად შეხვედროდნენ ახალ სასწავლო წელს პოლიტგანათლების ქსელში, მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული.

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანები მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურის გამოცემის საქმის გადაჭრით გაუმჯობესებას მოითხოვს. მაგრამ „საბლიტგამი“ თავს ვერ ართმევს ამ ამოცანას, ვერ ასრულებს სახელმწიფო დავალებას ბავშვებისათვის კარგი მაღალიდეური და მაღალმხატვრული წიგნების დროზე გამოცემის შესახებ. ოგივე უნდა ითქვას ახალგაზრდობის ჟურნალებზე, რომელთა გამოცემა დღემდე არ არის მოწესრიგებული.

საქართველოს კომკავშირის XIX ყრილობაზე გამოითქვა აზრი, რომ მიზანშეწონილია საქართველოში შეიქმნას გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიის“ ფილიალი, მაგრამ ამ სასარგებლო იდეისათვის ჯერჯერობით არავის დაუჭერია მხარი. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი პარტიის ყრილობის წინაშე აყენებს საკითხს საბლიტგამის რეორგანიზაციისა და მის ბაზაზე ახალი, მძლავრი გამომცემლობის შექმნის შესახებ, რომელიც უშუალოდ იქნება დაქვემდებარებული საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისადმი და რომელშიც თავმოყრილი იქნება გამოცემა ჩვენი ახალგაზრდობის ჟურნალებისა, საბავშვო და ახალგაზრდობის მხატვრული და პოლიტიკური, ფიზკულტურულ-სასპორტო ლიტერატურისა.

ჯერ კიდევ ჩამორჩება კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში, ბევრი ნაკლია პიონერული ორგანიზაციების მუშაობაში. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ წელს დაახლოებით 87.800 კომკავშირელსა და პიონერს საშემოდგომოდ დაენიშნა ხელახალი გამოცდა ან დატოვებულ იქნა იმავე კლასში მეორე წელს. სკოლებში ცუდად არის დაყენებული რუსული ენის სწავლება. რუსული ენის 4.044 მასწავლებლიდან დაახლოებით 3.000-ს სათანადო განათლება არა აქვს.

მოსწავლეთა კომუნისტურ აღზრდაში დიდ როლს ასრულებს კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის სწორი ორგანიზაცია სკოლებში. მაგრამ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და განათლების სამინისტროს მხრივ, თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ყოფილი ხელმძღვანელების მხრივ ცუდი ხელმძღვანელობის შედეგად ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა.

სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს ფიზკულტურულ-სასპორტო მუშაობას. ყვარლის, ახმეტის, წყალტუბოს, აბაშის, ზნაურის, ხულოს, ამბროლაურის, გულრიფშის და მთელ რიგ სხვა რაიონებში სრულიად არადამაკმაყოფილებლად წარმოებს ნორმების ჩაბარება ნიშანზე „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“ და თანრიგოსან სპორტსმენთა მომზადება. მოუწესრიგებელია ახალი სასპორტო ბაზების მშენებლობის საქმე. ფიზკულტურულ-სასპორტო მუშაობაში არსებული ყველა ეს სერიოზული ნაკლი უნდა აიხსნას ჯერ-ჯერობით ყოვლისა თვით ფიზკულტურული მუშაკების უმოქმედობით, აგრეთვე ფიზკულტურულ-სასპორტო მუშაობაში რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების სრულიად არადამაკმაყოფილებელი მონაწილეობით, ადგილობრივი პარტიული ორგანოების მხრივ ამ საქმის სუსტი ხელმძღვანელობით.

გადაჭრით გაუმჯობესებას მოითხოვს საორგანიზაციო და შიდაკომკავშირული მუშაობა, კომკავშირული კადრების შერჩევა, აღზრდა და განაწილება. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ კომკავშირის რიგები სუსტად იზრდება მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობის მიღებით, ცუდად არის დაყენებული ალკკ წევრთა აღრიცხვა.

რესპუბლიკის კომკავშირს ყველა პირობა აქვს იმისათვის, რომ ძირეულად გარდაქმნას თავისი მუშაობა, რომ თვითეული კომკავშირული ორგანიზაცია სანიმუშოდ მუშაობდეს.

ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ კომკავშირის XIX ყრილობაზე გამოთქვა რწმენა, რომ „...ბოლშევიკური ხელმძღვანელობა საიმედო საწინდარია ახალი სახელოვანი წარმატებებისა, რომლებითაც საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია გაახარებს ჩვენს სამშობლოს, ჩვენს პარტიას, ჩვენს მშობლიურ ამხანაგ სტალინს“.

საქართველოს კომკავშირი აღსავსეა იმის რწმენით, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დახმარებით და ყოველდღიური ხელმძღვანელობით ღირსეულად შეასრულებს თავის ამოცანებს.

დიდება დიდ სტალინს! **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხ. ვ. ქ. მამალაძის სიტყვა

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი

ახორციელებენ რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ სტალინის მითითებებს, საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, უდიდეს მუშაობას ეწევიან საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისათვის.

უკანასკნელ დროს სასამართლო ორგანოებმა რამდენადმე გაუმჯობესეს მუშაობა. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. იუსტიციისა და სასამართლო ორგანოები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ორგანო და საწარმო, თავიანთ მუშაობას უნდა აფასებდნენ არა იმის მიხედვით, თუ რამდენი პროცენტით წაიწიეს წინ წარსულთან შედარებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება მათი მუშაობა ჩვენი პარტიის მოთხოვნებს, რამდენად შეძლეს მათ თავიანთი მუშაობა აემაღლებინათ ახალი ამოცანების დონემდე.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ როგორც იუსტიციის სამინისტრო, ისე სასამართლო ორგანოები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ, ისინი ნაკლებად იყენებენ იმ ზრუნვასა და დახმარებას, რომლებსაც მათ უწევს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობა.

პირველი და მთავარი ნაკლი სახალხო სასამართლოების მუშაობაში ის არის, რომ, მიუხედავად დასჯითი პრაქტიკის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისა, ჯერ კიდევ არის არასწორი, ლმობიერი განაჩენების გამოტანის შემთხვევები.

სასამართლოს ზოგიერთი მუშაკი შეპყრობილია ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის სენით, ამიტომ საქმე, რომელიც შეიძლება განხილულ იქნას და დამთავრდეს ერთი დღის განმავლობაში, თვეობით ჭიანურდება. ასე მოხდა, მაგალითად, თბილისის მოლოტოვის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოში, სადაც მოსამართლე ამხ. ჯაჭვაძის დაუდევრობით 9 თვეზე მეტია ჭიანურდება სრულიად მარტივი საქმე.

სახალხო სასამართლოებს არსებითი ნაკლოვანებები აქვთ განაჩენებისა და გადაწყვეტილებათა აღსრულების დარგში. ზოგიერთი განაჩენი და გადაწყვეტილება სისრულეში არ მოდის თვეებისა და წლების განმავლობაში, ხოლო სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ცალკეული მუშაკები ამას ჩვეულებრივ მოვლენად თვლიან. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მილიციის ორგანოების სუსტი მუშაობა.

სერიოზული ნაკლოვანებანი და შეცდომები, რომლებსაც აღგილი აქვს სასამართლო ორგანოების მუშაობაში, უმთავრესად იმით აიხსნება, რომ იუსტიციის ორგანოები და პირველ რიგში საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო არ უწევენ მათ საკმაო ხელმძღვანელობასა და დახმარებას.

სერიოზული ნაკლოვანებებია კადრების შერჩევისა და აღზრდის დარგში. იმის გამო, რომ სამინისტროსა და მისი სამმართველოების კადრების განყოფილებებს მოუგვარებელი აქვთ რეზერვის საქმე, ზოგჯერ თვეობით ჭიანურდება თავისუფალ თანამდებობაზე მუშაკის შერჩევა.

იუსტიციის სამინისტრომ ჯერ კიდევ ვერ შეძლო სახალხო სასამართლოების მუშაობის გასაუმჯობესებლად მთლიანად გამოეყენებინა ის დიდი შესაძლებლობანი, რომლებიც შეიქმნა თბილისისა და ქუთაისის იუსტიციის საოლქო სამმართველოებისა და საოლქო სასამართლოების შექმნის შედეგად.

იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების წარმატებითი მუშაობის თავარ პირობას წარმოადგენს პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობა და დახმარება. ამ ხელმძღვანელობასა და დახმარებას ჩვენი მუშაკები ახლა ადგილზე ყოველდღიურად გრძნობენ.

სასამართლო ორგანოების მუშაობის გაუმჯობესება დიდად არის დამოკიდებული იურიდიული კადრების მომზადებაზე, ხოლო ამ მხრივ რესპუბლიკაში არანორმალური მდგომარეობა გვაქვს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის უმსგავსო მუშაობით იურიდიული კადრების მომზადება კი არ გაუმჯობესებულა, არამედ, პირიქით, გაუარესდა.

ამჟამად ერთადერთი სასწავლებელი, რომელიც იურიდიულ კადრებს ამზადებს, არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც იურიდიულ ფაკულტეტზე მისაღები კონტინგენტი წელს 25 კაცით განისაზღვრა, ნაცვლად გასული წლის 50 კაცისა და წინა წლების 75 კაცისა.

იურიდიული კადრები დიდი რაოდენობით ესაჭიროებათ სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოებს, რომ არაფერი ვთქვათ სხვა სახელმწიფო ორგანოებზე და საწარმოებზე, რომლებსაც აგრეთვე ესაჭიროებათ იურისტები.

კადრების მომზადების ახლანდელი მდგომარეობა ამ მოთხოვნილების მინიმუმსაც ვერ დააკმაყოფილებს. იმასთან დაკავშირებით, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროექტი სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებს დაუსწრებელი სწავლების ქსელის გაფართოებას, საჭიროდ მიმაჩნია დაისვას საკითხი დაუსწრებელი იურიდიული ინსტიტუტის თბილისის ფილიალის აღდგენის შესახებ, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება იურიდიული კადრების მომზადების საქმე რესპუბლიკაში. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა გადიდდეს კონტინგენტი სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და მისი ორგანოები, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით და დახმარებით, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ აღმოფხვრან ის შეცდომები და ნაკლოვანებები, რაც მათ მუშაობას ახასიათებს, ბოლშევიკური წესრიგი დაამყარონ რესპუბლიკის სასამართლოების მუშაობაში, მიაღწიონ საბჭოთა კანონიერების შემდგომ განმტკიცებას, დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას და უზრუნველყონ ჩვენი მშობლიური პარტიისა და დიდი სტალინის ყველა მითითებათა ბოლშევიკური განხორციელება. **(ტაში).**

ამხ. ზ. ნ. ჩხუბიანიშვილის სიტყვა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ამხანაგებო! საქართველოს კომუნისტური პარტიის XV ყრილობა მიმდინარეობს საბჭოთა სამშობლოს უდიდეს ისტორიულ გამარჯვებათა ვითარებაში, სსრ კავშირის ხალხთა უმაგალითო პოლიტიკური და სამეურნეო აღმავლობის ვითარებაში.

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელი, უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას ჩვენი პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ.

საბჭოთა ხალხი კანონიერი სიამაყის გრძნობით ავლებს თვალს თავისი შობლიური პარტიის XVIII ყრილობიდან XIX ყრილობამდე ჩვენი ქვეყნის მიერ განვლილ სახელოვან გზას.

XVIII ყრილობის შემდეგ ლენინ-სტალინის პარტიის, ხალხთა საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით ჩვენმა ქვეყანამ გადადგა დიდი ნაბიჯი წინ — კომუნიზმისაკენ. განუზომლად გაიზარდა საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება, განმტკიცდა მისი ეკონომიკა. სახალხო მეურნეობის შეუჩერებელ ზრდასთან ერთად განუხრელად მაღლდებოდა საბჭოთა ხალხის კულტურულ-საყოფაცხოვრებო დონე.

საბჭოთა კავშირის უდიდეს წარმატებათა გავლენით გაფართოვდა და განმტკიცდა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკი მთელ მსოფლიოში, არნახულად გაიზარდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი.

ჩვენი საყვარელი სამშობლოს მიერ მოპოვებული გამარჯვებანი, ყველა მოძმე რესპუბლიკის წინსვლა-განვითარება იმ ბრძნული პოლიტიკისა და უდიდესი ორგანიზატორული მუშაობის შედეგია, რომელსაც ახორციელებენ ბოლშევიკთა გმირული პარტია, მშრომელთა გენიალური ბელადი, ჩვენი ქვეყნის ყველა გამარჯვებათა შემოქმედი, ხალხთა დიდი მასწავლებელი ამხანაგი სტალინი.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ამხანაგ სტალინის მუდმივი ზრუნვისა და დახმარების შედეგად თვალსაჩინო მიღწევები მოიპოვეს საბჭოთა საქართველოს მშრომელებმაც მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის დარგში.

ყველაფერი ის, რითაც ჩვენი რესპუბლიკა სამართლიანად ამაყობს, მჭიდროდ არის დაკავშირებული დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის ამხანაგ ლ. პ. ბერიას სახელთან. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა რა ჩვენს რესპუბლიკას, ამხანაგმა ბერიამ უზრუნველყო რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის მძლავრი აღმავლობა.

საქართველოს რესპუბლიკას გაცილებით მეტი მიღწევები ექნებოდა, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ყოფილი ხელმძღვანელების მუშაობაში მანკიერი სტილი რომ არ ყოფილიყო დანერგილი. მათმა თვითკმაყოფილებისა და პარადული კეთილდღეობის განწყობილებამ წარმოშვა ნაკლოვანებებისადმი არაკრიტიკული დამოკიდებულება და პოლიტიკური დამოკიდებულება, რის შედეგად დაშვებული იყო უხეში შეცდომები, რომლებმაც გამოიწვიეს პოლიტიკური ჩავარდნები.

ეს შეცდომები და ჩავარდნები განსაკუთრებით საგრძნობი იყო სოფლის მეურნეობის დარგში. მე მინდა თქვენი ყურადღება უმთავრესად შევაჩეროს სწორედ სოფლის მეურნეობის, კერძოდ მარცვლეული კულტურების განვითარების საკითხებზე.

როგორც ცნობილია, ამხანაგმა სტალინმა საქართველოს მშრომელებს დაუსახა უმნიშვნელოვანესი ამოცანა— უახლოეს წლებში რესპუბლიკის მოთხოვნილების დაკმაყოფილება საკუთარი წარმოების პურით. ეს ამოცანა წარმატებით რომ გადაიჭრას, მთავრობის დადგენილების თანახმად, მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი 1957 წლისათვის აყვანილ უნდა იქნას 1.070 ათას ჰექტარამდე, აქედან ხორბლეულის ნათესმა ფართობმა უნდა შეადგინოს 770 ათასი ჰექტარი. აღნიშნული დროის განმავლობაში ათვისებულ უნდა იქნას 371 ათასი ჰექტარი ახალი ფართობი. ხორბლეულის ნათესი ფართობები სარწყავ მიწებზე 1957 წლისათვის აყვანილ უნდა იქნას 400 ათას ჰექტარამდე.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსავლიანობის ზრდას. 1957 წლისათვის ჰექტარზე უნდა მივიღოთ 22-25 ცენტნერამდე ხორბალი.

აღნიშნული დავალების წარმატებით შესრულებისათვის საბჭოთა მთავრობამ, პირადად ამხანაგმა სტალინმა ჩვენს რესპუბლიკას უდიდესი დახმარება გაუწია: საკმაო რაოდენობით არის გამოყოთილი სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, მინერალური სასუქი, კაპიტალური დაბანდებანი წყალთა მეურნეობისა და სხვა ობიექტთა მშენებლობისათვის.

მაგრამ, იმის გამო, რომ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ძველი ხელძძღვანელობა ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდა ხორბლის კულტურის განვითარების საქმეს, ეს ძეტად მნიშვნელოვანი ამოცანა არადაძაკმაყოფილებლად სრულდებოდა.

ჩვენ უმთავრესად კკმაყოფილდებოდით საშუალო მაჩვენებლებით და საჭირო ყურადღებას არ ვუთმობდით ცალკეული რაიონებისა და კოლმეურნეობების ჩამორჩენას, ნაკლოვანებებს მათს მუშაობაში.

არადამაკმაყოფილებლად სრულდებოდა ახალი მიწების ათვისების, სარწყავი მეურნეობის გაფართოების გეგმები, სუსტად ინერგებოდა ახალი აგროტექნიკური ღონისძიებანი. მაგალითად, გასულ წელს ათვისებული იყო 38,6 ათასი ჰექტარი მიწა ნაცვლად 45,0 ათასი ჰექტარისა. 56 რაიონიდან ახალი მიწების ათვისების გეგმა ვერ შეასრულა 27 რაიონმა. ახალი მიწების ათვისება ცუდად მიმდინარეობს წელსაც. 1 სექტემბრისათვის 60 ათასი ჰექტარის ნაცვლად ათვისებულია მხოლოდ 25.600 ჰექტარი. არ სრულდება აგრეთვე წყალთა მეურნეობის მშენებლობის სამუშაოები. 1951-1952 წლებში სარწყავ ფართობად უნდა გვექცია 57,0 ათასი ჰექტარი მიწა, ფაქტიურად სარწყავად გადავაქციეთ 40,4 ათასი ჰექტარი. მთლიანად არ არის გამოყენებული არსებული სარწყავი ქსელიც.

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა გვაქვს ახალი აგროტექნიკის დანერგვის დარგში. ხვნა-თესვისა და ნათესების დამუშავების დროს ყოველთვის არ იცავენ აგროტექნიკურ წესებს. მიუხედავად ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს არაერთი მითითებისა, მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ განაგრძობენ თესვას ხელით, არ იცავენ ნათესების სიხშირეს, ყურადღება არ ექცევა ნათესების შემდგომ დამუშავებას — ფარცხვას, მარგვლას და ა. შ. ეს კი საგრძნობლად ამცირებს მოსავლიანობას.

მარცვლეულის მოსავლიანობის ზრდისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მტს-ების მუშაობას. მართალია, სატრაქტორო სამუშაოთა საერთო გეგმა უკანასკნელ წლებში გადაჭარბებით სრულდება, მაგრამ ჩვენი მტს-ების საკმაო ნაწილი ჯერ კიდევ ცუდად მუშაობს, უპასუხისმგებლოდ ეკიდება დავალების შესრულებას, უხეშად არღვევს ხვნა-თესვისა და დამუშავების აგროტექნიკურ ვადებს, არ იცავს ხარისხს და ხშირ შემთხვევაში არ ასრულებს ცალკეულ სამუშაოებს, რაც დაბლა სწევს მოსავლიანობას. მაგალითად, 1.316 კოლმეურნეობიდან, რომლებსაც მომსახურებას უწევენ მტს-ები, მოსავლიანობის გეგმა შეასრულა მხოლოდ 373 კოლმეურნეობამ.

მოსავლიანობის გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია სატრაქტორო სამუშაოთა უხარისხო შესრულებით და აგროტექნიკური ვადების უხეში დარღვევით. ახლა მტს-ებს არ შეიძლება ეპატიოთ გეგმის შეუსრულებლობა და მუშაობის უხარისხოდ ჩატარება, რადგან ჩვენი სატრაქტორო პარკის სიმძლავრე თითქმის ორჯერ აღემატება ფაქტიურ მოთხოვნილებას.

მოსავლიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის გატარებასთან. ამ კომპლექსის თუნდაც ერთი ღონისძიების შეუსრულებლობა ამცირებს დანარჩენ ღონისძიებათა ეფექტს და უარყოფით გავლენას ახდენს მოსავლიანობაზე. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ აგროტექნიკურ ღონისძიებათა სრულად დანერგვისათვის ბრძოლა მაღალი მოსავლიანობისათვის ბრძოლაა.

ახალი ხუთწლედის დირექტივები ითვალისწინებს მარცვლეული კულტურების მნიშვნელოვან გადიდებას. ამიერკავკასიის რაიონებში მარცვლეულის მოსავლიანობა უნდა გაიზარდოს ჰექტარზე 20-22 ცენტნერამდე, ხოლო სარწყავ მიწებზე—30-34 ცენტნერამდე.

მოწინავე რაიონებისა და კოლმეურნეობების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მოსავლიანობის ზრდის გეგმები შეიძლება გადაჭარბებითაც შესრულდეს. ჩვენს კოლმეურნეობებს ამის ყოველგვარი პირობები და შესაძლებლობანი აქვთ. უპირველეს ყოვლისა საჭიროა ყურადღებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერება მარცვლეული კულტურების განვითარებისადმი. გარდა ამისა, ფართოდ უნდა დანერგოთ მოწინავე აგროტექნიკა და გადაჭრით ავამაღლოთ მიწათმოქმედების საერთო კულტურა.

აგროწესების დარღვევა, რაც იწვევს მოსავლის შემცირებას, მიჩნეულ უნდა იქნას ანტისახელმწიფოებრივ ანტიხალხურ მოქმედებად. ამ საქმეში დამნაშავენი მკაცრად უნდა დაისაჯონ. მკაცრად უნდა დაისაჯონ აგრეთვე კოლმეურნეობათა და სოფლის მეურნეობის ის ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც ურიგდებიან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ხარისხის და ვადების უხეშად დარღვევას.

ცენტრალურმა კომიტეტმა ამ უკანასკნელ ხანს მრავალ უმსგავსოებას მოუღო ბოლო. ასევე უნდა მოეღოს ბოლო მარცვლეული კულტურების მოვლა-დამუშავებისა და განვითარებისადმი უპასუხისმგებლო და უდარდელ დამოკიდებულებას. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ პურის მოსავლიანობის გეგმას ასრულებდეს ყველა რაიონი და ყველა კოლმეურნეობა. ამისათვის საჭიროა სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონის გადაჭრით ამაღლება.

მომავალი წლის მოსავლის ბედი ახლა წყდება. უნდა აღინიშნოს, რომ საშემოდგომო კულტურების ხვნა-თესვა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, არადამაკმაყოფილებელია სატრაქტორო სამუშაოთა ხარისხიც, ჩამორჩება მზრალად ხვნა. საჭიროა პარტიის საოლქო კომიტეტებმა, საოლქო საბჭოების აღმასკომებმა, მარცვლეულის რაიონების ხელმძღვანელებმა უახლოეს დროში აღმოფხვრან ჩამორჩენა და უზრუნველყონ ხვნა-თესვა მაღალ აგროტექნიკურ დონეზე.

ამხანაგებო! საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურმა კომიტეტმა, ამხანაგ მგელაძის ხელმძღვანელობით, დიდი მუშაობა გასწია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ სტალინის მითითებათა შესასრულებლად. გაჩაღებულია გადამწყვეტი ბრძოლა ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მუშაობის მანკიერი სტილის შედეგთა აღმოსაფხვრელად, სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე დაშვებული უხეში შეცდომებისა და პოლიტიკური ჩავარდნების გამოსასწორებლად, მუშაობის ახლებურად გარდაქმნისათვის. ყველგან იგრძნობა საქმიანობის გამოცოცხლება, პოლიტიკური სიფხიზლის ამაღლება, აქტივობა, მაღალი მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობის განმტკიცება პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში. ფართოდ გაიშალა კრიტიკა და თვითკრიტიკა, განსაკუთრებით კრიტიკა ქვემოდან.

დიდი მუშაობა გაწეული საბჭოთა კანონიერების დამახინჯების, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეში დარღვევების, მექრთამეობის, გაფლანგვა-მტაცებლობის სალიკვიდაციოდ. მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

ამხანაგებო! საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული უხეში პოლიტიკური შეცდომებისა და ჩავარდნებისათვის დიდი პასუხისმგებლობა მეკისრება მეც. მიუხედავად ჩემი დანაშაულისა, პარტიამ დიდ პასუხსაგებ პოსტზე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე გამაზავნა. ჩემდამი პარტიის ეს უდიდესი ნდობა ფრიად დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს.

პირობას ვაძლევ ყრილობის დელეგატებს, ცენტრალურ კომიტეტს, რომ ამ ნდობას გავამართლებ ჩემი ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობით, პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულებით.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ჩვენი ქვეყნის გრანდიოზული განვითარების ბრწყინვალე პერსპექტივებს სახავენ.

ახალი ხუთწლედის დირექტივების ყოველი ციფრი ითვალისწინებს საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომ ამაღლებას, ჩვენი საყვარელი სამშობლოს ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებას. ამიტომ საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელმა, მათ შორის საქართველოს მშრომელებმაც მხურვალედ მოიწონეს დირექტივების პროექტი მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება, რათა სასახელო შრომითი მაჩვენებლებით შეხვდნენ ყრილობის გახსნის ღირსშესანიშნავ დღეს.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, აღზრდილი დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მიერ დიად სტალინურ ტრადიციებზე, შეიარაღებული საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, ამხანაგ სტალინის მითითებებით, ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ უმოკლეს დროში აღმოფხვრას საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომები და ჩავარდნები, წარმატებით შეასრულოს ახალი ხუთწლიანი გეგმით ჩვენი რესპუბლიკის წინაშე დასახული ამოცანები.

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ მამას, ბრძენ მასწავლებელს, პარტიისა და ხალხის გენიალურ ბელადს დიდ სტალინს! **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხ. ნ. ი. მუსხელიშვილის სიტყვა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

ამხანაგებო! საქართველოს კომუნისტური პარტიის XV ყრილობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. ოგი მიმდინარეობს საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის წინ, რომელიც მოწოდებულია გადაჭრას კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე მდგომი უდიდესი ამოცანები.

XV ყრილობა მიმდინარეობს იმ ღონისძიებათა შესრულებისათვის ბრძოლის ნიშნით, რომლებიც საქართველოს ბოლშევიკებს დაუსახეს საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, პირადად ამხანაგმა სტალინმა იმ ჩავარდნების აღმოსაფხვრელად, რომლებიც საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მუშაობის მანკიერი სტილის შედეგი იყო.

ეს ღონისძიებანი მნიშვნელოვნად უკვე განხორციელებულია უკანასკნელ თვეებში, ხოლო მათი რეალიზაციის შემდგომი გზები ნათლად არის გარკვეული ამხ. ა. ი. მგელაძის საანგარიშო მოხსენებაში.

ძველი ხელმძღვანელობის არაბოლშევიკურმა, უპრინციპო, ობივატელურმა სტილმა უკანასკნელ წლებში არსებითი ზიანი მიაყენა ბევრ ჩვენს სამეცნიერო დაწესებულებასაც და ცალკეულ მეცნიერებსაც.

პრინციპს „ენდე და შეამოწმე“ არ იყენებდნენ ან, უფრო სწორად, უკუღმა იყენებდნენ: მეცნიერებს ნაკლებად ენდობოდნენ და მათ ცუდად ამოწმებდნენ.

ეს შემოწმება ანუ „გამოკვლევა“ ზოგჯერ სავსებით მახინჯ ფორმებს იღებდა. ერთხელ ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრებს ცენტრალურ კომიტეტში გამოუძახეს. ეს დარბაისელი ადამიანები მაგიდას შემოუსხეს როგორც გამოცდის ჩამბარებელი მოწაფეები, ქაღალდის ფურცლები დაურიგეს და წინადადება მისცეს დაეწერათ ჩვენება, ამასთან ძალიან სასტიკად აუკრძალეს ერთმანეთის ქაღალდებში ჩახედვა.

ასეთ, უკაცრავად პასუხია, გამოკვლევას ზოგჯერ მრავალი თვეობით გამოჰყავდა მწყობრიდან მთელი ინსტიტუტები, ქმნიდა ჭორებისა და მითქმა-მოთქმის არაჯანსაღ ვითარებას, ლახავდა ჩვენი მეცნიერების ავტორიტეტს ფართო საზოგადოებრიობის თვალში და, რაც ყველაფერზე უარესია,—მოსწავლე ახალგაზრდობის თვალში.

პარადული კეთილდღეობის ვითარებაში თვითკრიტიკას ხშირად ცვლიდა საკუთარი თაეის ქება, ხოლო შემოქმედებითს მუშაობას, რომელიც მთელი ძალების დაძაბვას მოითხოვს, — ლაყბობა და ბაქია მოხსენებითი ბარათები.

არ ენდობოდა რა კომპეტენტურ პირთა კრიტიკასა და აზრს, ძველი ხელმძღვანელობა ხშირად ხელს უწყობდა ხალხმრავალი დისკუსიების გამართვას სრულიად უაზრო საკითხებზე. ამის მაგალითი შეიძლება იყოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ამას წინათ მოწყობილი დისკუსია, რომელმაც ასობით ადამიანს 5-6 დღე წაართვა და მიძღვნილი იყო პროფესორ ბ. ს. კანდელაკის აშკარად ცრუმეცნიერული თეორიისადმი. ეს დისკუსია ინსტიტუტს თავს მოახვია ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და უმაღლესი სკოლების განყოფილების ყოფილმა გამგემ ამხ. გუჯაბიძემ.

თავის ქება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენი მეცნიერების პრესტიჟი ახლაც ძალიან მაღალია, რომ საბჭოთა კავშირის მეცნიერები კვლავ მაღალ შეფასებას აძლევენ ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერთა მიღწევებს და რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას კვლავ საპატიო ადგილი უკავია მოკავშირე რესპუბლიკათა აკადემიებს შორის.

ჩვენი მეცნიერები მუშაობენ სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მეცნიერებთან და პირველ რიგში დიდი რუსი ხალხის მეცნიერებთან მჭიდრო თანამეგობრობით. ძნელია გადაჭარბებით შეავაფასოთ მნიშვნელობა, რაც ჩვენთვის აქვს გულწრფელ მეგობრობას, რომელიც ჩვენ რუს მეცნიერებთან და საერთოდ რუს ხალხთან გვაკავშირებს.

ამიტომ განსაკუთრებით მკაცრად უნდა დავგმოთ ჩვენი ლიტერატურის ზოგიერთი მანკიერი ნაწარმოები, რომლებიც ცდილობენ სახელი გაუტეხონ ამ გულწრფელ მეგობრობას. მე მხედველობაში მაქვს შალვა დადიანის რომანი „გიორგი რუსი“, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XV ყრილობა

კამათი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. ნ. ი. მუსხელიშვილის სიტყვის დასასრული

ძოკვლევები ამ დარგში დიდი ხანი არ არის რაც დაიწყო. ვითვალისწინებდით რა თანამედროვე ფიზიკის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ჩვენ არაერთხელ დავაყენეთ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის წინაშე მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელების საჭიროების საკითხი, მაგრამ არსებითი დახმარების მიღება შევძელით მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ საკითხს ხელი მოჰკიდა საკავშირო მთავრობამ და პირადად ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ, რომელსაც ჩვენ უშუალოდ მივმართეთ.

ამჟამად ჩვენს მეცნიერებათა აკადემიას და სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვთ თანამედროვე მოწყობილობა და ჰყავთ ფიზიკოსთა, მნიშვნელოვანწილად ახალგაზრდათა, ძლიერი, ინიციატივიანი კოლექტივი, რომელმაც უკვე მიაღწია სერიოზულ წარმატებებს ფიზიკის დარგში. ეს კოლექტივი უეჭველია არსებითს წვლილს შეიტანს მთლიანად საბჭოთა ფიზიკის განვითარებაში, მით უმეტეს, რომ რესპუბლიკის ახალმა ხელმძღვანელობამ პირდაპირ პირველივე დღეებიდან უშუალოდ მოჰკიდა ხელი ამ საკითხების გადაჭრას და თავისი ინიციატივით უკვე გამოიტანა მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, რომლებიც არსებითად სწევენ წინ ამ მნიშვნელოვან საქმეს.

შევჩერდები ტექნიკურ მეცნიერებებზე. კმაყოფილებით შემიძლია აღვნიშნო, რომ ჩვენს ტექნიკურ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს უკვე შესწევთ უნარი გადაჭრან ისეთი დიდი კომპლექსური მეცნიერული პრობლემები, რომელთა მნიშვნელობა შორს სცილდება ადგილობრივი ინტერესების ჩარჩოებს, მაგალითად, ვოლგაზე, დნეპრზე და შუა აზიაში უდიდეს ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობასთან დაკავშირებული მეცნიერული პრობლემები.

ამხ. ა. ი. მგელაძემ აქ ილაპარაკა ქალაქ თბილისის გაზიფიკაციის ამოცანის განსახორციელებლად გაწეულ მუშაობაზე. ამ მუშაობის შედეგად ჩვენ გვაქვს გარკვეული მონახაზი, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს უკვე უახლოეს დროში დავაყენოთ გაზიფიკაციის საკითხი.

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარების ინტერესები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წინაშე ახალ პასუხსაგებ ამოცანებს აყენებს. აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტმა უნდა გააძლიეროს მუშაობა ჩვენი უმდიდრესი ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოყენების რაციონალური გზების შესასწავლად, რაზეც უკვე იყო ლაპარაკი საანგარიშო მოხსენებაში.

მეტალურგიის, ლითონმცოდნეობისა და მანქანათმშენებლობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ძირითადად უნდა განვითარდეს ადგილობრივი მეტალურგიული ნედლეულის შესწავლის, მისი გადამუშავების, მაღალხარისხოვან შენადნობთა მიღებისა და გაუმჯობესებული ტექნოლოგიური პროცესების დადგენის მიმართულებით. ამასთან ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტმა უნდა განაგრძოს სასარგებლო მუშაობა მარგანეცის ღარიბი მადნებიდან მარგანეცის კონცენტრატებთან ერთად ახალი კომბინირებული სასუქების მიღების დარგში.

ახალ ხუთწლედში სერიოზული პრობლემები დგას სამშენებლო ინსტიტუტის წინაშე. კერძოდ, მან მონაწილეობა უნდა მიიღოს ქალაქ თბილისის კეთილმოწყობისა და კომუნალური მშენებლობის სამუშაოებში.

საქართველოს სახალხო მეურნეობისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა განყოფილების დაწესებულებების შემდგომ ფართო განვითარებას. ამ დარგში მომუშავე მეცნიერებმა უახლოეს დროში უნდა დაამთავრონ უკვე დაწყებული და მნიშვნელოვნად წინწაწეული მუშაობა, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს მარცვლეული მეურნეობის, მევენახეობის, მეღვინეობისა და მეცხოველეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისა და განვითარების შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ისტორიულ დადგენილებათა რეალიზაციასთან.

ჩვენ დიდი მუშაობა გვაქვს შესასრულებელი საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში. ჩვენს წინაშე დგას ამოცანა — ვიხელმძღვანელოთ ამხანაგ სტალინის გენიალური შრომებით ენათმეცნიერების საკითხებზე და შევქმნათ მაღალხარისხოვანი მეცნიერული შრომები და სახელმძღვანელოები საქართველოს ახალ ისტორიაში, ქართული ლიტერატურის, ხელოვნების, ფილოსოფიის, ეკონომიკის ისტორიაში და სხვ.

ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიება, რომელიც, ჩემი აზრით, უახლოეს დროში უნდა განხორციელდეს, — ეს არის მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურის გადასინჯვა. საქმე ის არის, რომ ამჟამად არსებულ სტრუქტურაში ბევრი რამ შემთხვევითია. პირდაპირ უნდა განვაცხადო, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ამა თუ იმ დაწესებულებათა შექმნის საქმე ყოველთვის არ იყო ნაკარნახევი მხოლოდ და მხოლოდ საქმის ინტერესებით. მაგალითად, არანორმალურად მიმაჩნია, რომ აკადემიის სისტემაში არ არის ჩვენი რესპუბლიკისათვის ისეთ სპეციფიკურ საკითხებზე მომუშავე დაწესებულებანი, როგორიც არის კურორტოლოგიის, მალარიასთან ბრძოლის საკითხები და სხვ.

ამასთან ვფიქრობ, და შეიძლება ეს რამდენადმე გაბედულად გამომიდიოდეს, რომ ჩვენს აკადემიაში ახალი საკვლევი დაწესებულებანი შეიძლება შეიქმნას ისე, რომ საჭირო არ იყოს მეცნიერ მუშაკთა შტატების არსებითი გადიდება, ყოველ შემთხვევაში პირველ ხანებში.

მართლაც, ამხანაგებო, ამჟამად აკადემიის სისტემაში მუშაობს 900-ზე მეტი მეცნიერი მუშაკი ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ჩაუთვლელად. ასეთ მძლავრ მეცნიერულ კოლექტივს (თუ თვითეული მეცნიერი თანამშრომელი სწორად და ჯეროვან ადგილზე იქნა გამოყენებული) ძალუძს გადაჭრას რთული ამოცანები. მაგრამ მეცნიერული კადრების სწორ განაწილებასა და გამოყენებას ძლიერ უშლის ხელს შეთავსების უაღრესად ფართოდ განვითარებული და საქმისათვის საზიანო პრაქტიკა.

ღონისძიებანი, რომლებსაც ამჟამად რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელობა ახორციელებს ზედმეტ შეთავსებათა აღმოსაფხვრელად, უეჭველია დიდ სარგებლობას მოუტანს საერთო საქმეს, და ჩვენ ამას ყოველნაირად უნდა შეგუწყოთ ხელი.

მეცნიერული მუშაობის ხარისხს აქვეითებს ის გარემოებაც, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არის ერთგვარი, მართალია უმნიშვნელო, რაოდენობა მეცნიერი მუშაკებისა, რომლებიც თავიანთი კვალიფიკაციით არ შეეფერებიან დანიშნულებას, პერსპექტივები არა აქვთ და სამეცნიერო მოღვაწეობას განიხილავენ როგორც მატერიალურად ხელსაყრელ საქმეს. ასეთი „მუშაკებისაგან“ უნდა განვთავისუფლდეთ.

კადრების ნაკლებობა ჩვენ არა გვაქვს და არც გვექნება, თუ გავითვალისწინებთ მათს ნორმალურ ზრდას. ის, რაც გვაკლია და რის შესახებაც მინდა დავაყენო საკითხი—ეს არის თანამედროვე სამეცნიერო მოწყობილობის ნაკლებობა მთელ რიგ ჩვენს ინსტიტუტებში. მე ვიცი, რომ რესპუბლიკის ახალმა ხელმძღვანელობამ უშუალოდ მოჰკიდა ხელი ამ საკითხს და იგი გადაიჭრება.

ჩვენი მუშაობის სერიოზული ნაკლია აკადემიის პრეზიდიუმისა და პარტიული ორგანიზაციის არასაკმაო ოპერატიული მუშაობა.

აკადემიის პარტიული ორგანიზაციის სუსტ მუშაობაში, რა თქმა უნდა, ჩვენ თვითონ მიგვიძღვის მნიშვნელოვანი ბრალი, მაგრამ არანაკლები ბრალი მიუძღვით აგრეთვე პარტიის ბერიას რაიკომსა და თბილისის კომიტეტს.

ამხანაგებო, მრავალი წლის მანძილზე საქართველოს მეცნიერებს ლენინ-სტალინის პარტიისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების სულისკვეთებით ზრდიდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გამოჩენილი მოღვაწე ლავრენტი პავლეს-ძე ბერია. მუშაობის სტალინურ სტილს, რომელსაც ესოდენ წარმატებით ნერგავდა აქ ლავრენტი პავლეს-ძე ბერია და რომელსაც გადაუხვია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველმა ხელმძღვანელობამ, კვლავ აღადგენს ახალი ხელმძღვანელობა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩვენი მეცნიერები მთელ თავიანთ ძალებსა და ცოდნას კვლავაც მოახმარენ ჩვენი სამშობლოს შემდგომ აყვავებას და შეიცდებიან გაამართლონ ის მზრუნველობა, ის ყურადღება, ის ნდობა, რომელსაც მათ უწევს მეცნიერების დიდი კორიფე, ჩვენი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი. **(მოუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

კორეის ამბები

ფხენიანი, 21 სექტემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 21 სექტემბერს გამოაცხადა:

კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს წინანდელ ზღუდეებზე.

დღეს თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 2 ავიაგამანადგურებელი.

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შორის მოლაპარაკების გამო

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

შანხაი, 18 სექტემბერი. (საკდესი). ჩინელი ხალხი სიხარულის ვრძნობით შეხვდა ცნობას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციასა და საბჭოთა მთავრობას შორის მოლაპარაკების დამთავრებას შესახებ. ეს ცნობა, რომელიც მრავალჯერ გადასცა რადიომ, შანხაის საზოგადოებრიობისა და მშრომელთა ყურადღების ცენტრშია.

16 სექტემბერს ყველა გაზეთმა პირველ გვერდზე მოათავსა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კომუნიკეები და ჯოუ ენ-ლაისა და ა. ი. ვიშინსკის ნოტები. ზოგიერთმა გაზეთმა მოათავსა ი. ბ. სტალინის, მაო ძე-დუნის, ა. ი. ვიშინსკისა და ჯოუ ენ-ლაის პორტრეტები.

ამ ამბისადმი მიძღვნილ სპეციალურ სტატიაში გაზეთი „ვენგუიბაო“ წერს: მოლაპარაკების დროს განხილულ იქნა დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიური საკითხები, რომლებიც ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შეეხება. საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება — გადასცეს ჩინეთს ჩანჩურნის რკინიგზა, აგრეთვე გადაწყვეტილება საბჭედრო-საზღვაო ბაზა პორტ-არტურის ერთობლივად გამოყენების ვადის განგრძობის შესახებ, საკმაოდ შეესაბამება ჩინეთსა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ინტერესებს. ეს გადაწყვეტილებანი ინტერნაციონალიზმის უმაღლესი გამოვლენებია.

საბჭოთა კავშირის ხალხი და მთავრობა, წერს გაზეთი, მრავალი წლის მანძილზე უწევდნენ ჩინეთის ძმურ უანგარო დახმარებას, რისთვისაც ჩინელი ხალხი დიდ მადლობას გამოთქვამს. საბჭოთა ხალხის დახმარება ხელს უწყობს ახალი ჩინეთის წარმატებით მშენებლობას და განამტკიცებს ორი დიდი ხალხის თანამშრომლობას, რომელიც გადაულახავ დაბრკოლებას წარმოადგენს მსოფლიო იმპერიალიზმის აგრესიული ძალების გზაზე.

ორ დიდ სახელმწიფოს—ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ძმური კავშირის შემდგომი განმტკიცება და განვითარება, ნათქვამია დასასრულ სტატიაში, უეჭველია, აზიისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საიმედო გარანტია იქნება.

პეკინი, 19 სექტემბერი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოსახლეობის ყველა ფენა დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ცნობას საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მოლაპარაკების შესახებ. ქალაქის ქუჩებში დაინახავდით ადამიანთა ჯგუფებს, რომლებიც გაიძახოდნენ ლოზუნგებს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის პატივსაცემად.

მუშები, გლეხები, მოსამსახურეები და სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მეომრები თავიანთ სიტყვებში დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ შეთანხმებათა გამო, რომლებიც მიღწეულ იქნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და სსრ კავშირის მთავრობებს შორის და რომლებიც კვლავ ცხადყოფენ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურღვევ მეგობრობას.

ჩინეთის დედაქალაქის ბევრ საწარმოში, დაწესებულებაში, სასწავლებელში გაიმართა მიტინგები. როგორც ცენტრალური გაზეთები იუწყებიან, სასოფლო-სამეურნეო მანქანების პირველი ქარხნის, პეკინის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს, სახელმწიფო უნივერსალური მაღაზიისა და სხვა საწარმოთა მუშებმა და მოსამსახურეებმა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მოლაპარაკების შესახებ დოკუმენტების გამოქვეყნებისადმი მიძღვნილ მიტინგებზე იკისრეს ვალდებულებანი—კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღონ პატრიოტული შეჯიბრება წარმოების გადიდებისა და მომჭირნეობისათვის.

დიდი პატრიოტული აღმავლობაა პეკინის კვანძის რკინიგზელებში.

გაზეთ „გუანმინჟიბაო“ აღნიშნავს, რომ ცნობამ ჩინეთის ჩანჩურნის რკინიგზის ჩინეთის მთავრობისათვის გადაცემის შესახებ და ჯოუ ენ-ლაისა და ა. ი. ვიშინსკის შორის ნოტების გაცვლამ დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მსხვილი სამრეწველო ცენტრებსა—მუკდენისა და ტიანძინის მოსახლეობაში. მუკდენის მოსახლეობა, წერს გაზეთი, დიდი სიხარულით შეხვდა კომუნიკეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის მოლაპარაკების შესახებ. ყველგან გაისმის სიხარულის შეძახილები: „მადლობა საბჭოთა კავშირს! გაუმარჯოს გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს! გაუმარჯოს ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის დიად მეგობრობას!“.

პოლონეთი

ვარშავა, 19 სექტემბერი. (საკდესი). პოლონეთის ყველა ცენტრალურმა გაზეთმა პირველ გვერდზე გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კომუნიკე საბჭოთა მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შორის მოლაპარაკების შესახებ, კომუნიკე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისათვის ჩინეთის ჩანჩურნის რკინიგზის გადაცემის შესახებ და ნოტები, რომლებიც ჯოუ ენ-ლაიმ და ა. ი. ვიშინსკიმ გაცვალეს.

გაზეთი „ეოლნეიე ვოლნოსტი“ ამ დოკუმენტებს აქვეყნებს სათაურით: „საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მოლაპარაკებამ დაადასტურა ორივე ქვეყნის მისწრაფება მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისადმი, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით“.

გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“ სათაურში წერს: „საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მოლაპარაკება მოსკოვში ხელს უწყობს ამ ორი ქვეყნის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას“.

გაზეთები „ეიცე ვარშავი“, „კურიერ პოძენი“ სათაურებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საქმეს ემსახურება.

მოწინავე სტატიაში „დიადი კავშირის განმტკიცება“ გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“ აღნიშნავს, რომ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი სიხარულით შეხვდა ცნობას საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შორის შეთანხმების მიღწევის შესახებ. საბჭოების უძველეს ქვეყანასა და ჩინეთის ნახევარმილიარდიან ხალხს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას, წერს გაზეთი, უდიდესი მნიშვნელობა აქვს შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში ომის გამჩაღებელთა გეგმების ჩაფუშვისათვის.

გაზეთი აღნიშნავს, რომ „საბჭოთა კავშირის ძმური დახმარების მეოხებით სახალხო ჩინეთის ეკონომიკა მძლავრად ვითარდება, რაც სწრაფად სპობს შრავალი საუკუნის ეკონომიურ ჩამორჩენილობას“.

კომენტარს უკეთებს რა მოსკოვში ხელმოწერილ შეთანხმებას საბჭოთა კავშირის მიერ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისათვის ჩინეთის ჩანჩურნის რკინიგზის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, „ტრიბუნა ლიუდუ“ წერს:

„ეს გადაწყვეტილება გამოხატავს ხალხთა სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის პატივისცემის, სსრ კავშირის მთავრობის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა ზუსტად დაცვის საბჭოთა პოლიტიკის, ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა უანგარო დახმარებას უწევს კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის ბორკილებისაგან განთავისუფლებულ ხალხებს“.

ეხება რა საკითხს ჩინეთის სამხედრო-საზღვაო ბაზა პორტ-არტურიდან, რომლითაც ორივე სახელმწიფო ერთობლივად სარგებლობს, საბჭოთა ჯარების გაყვანის ვადის განგრძობის შესახებ, გაზეთი წერს:

„ყოველს ადამიანი, რომლისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, კმაყოფილებით და მოწონებით შეხვდა სახალხო ჩინეთის მთავრობის წინადადებას და საბჭოთა კავშირის მთავრობის თანხმობას ისეთი შეთანხმების დადების შესახებ, რომელიც მიმართულია შორეულ აღმოსავლეთში ახალი აგრესიის საფრთხის წინააღმდეგ და მშვიდობის საქმეს ემსახურება“.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მოსკოვის მოლაპარაკების შედეგები, აღნიშნავს დასასრულ „ტრიბუნა ლიუდუ“, მოასწავებს მშვიდობის ის უძლეველი ბანაკის ძალებისა და დარაზმულობის შემდგომ გაფართოებას, რომელსაც სათავეში უდგას დიდი სტალინი.

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 18 სექტემბერი. (საკდესი). უნგრეთის ყველა ცენტრალურმა გაზეთმა მოათავსა მასალები საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მოსკოვში გამართული მოლაპარაკების შესახებ: საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კომუნიკე საბჭოთა მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შორის მოლაპარაკების შესახებ, „ტრიბუნა ლიუდუ“ წერს:

„ეს გადაწყვეტილება გამოხატავს ხალხთა სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის პატივისცემის, სსრ კავშირის მთავრობის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა ზუსტად დაცვის საბჭოთა პოლიტიკის, ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა უანგარო დახმარებას უწევს კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის ბორკილებისაგან განთავისუფლებულ ხალხებს“.

ეხება რა საკითხს ჩინეთის სამხედრო-საზღვაო ბაზა პორტ-არტურიდან, რომლითაც ორივე სახელმწიფო ერთობლივად სარგებლობს, საბჭოთა ჯარების გაყვანის ვადის განგრძობის შესახებ, გაზეთი წერს:

„ყოველს ადამიანი, რომლისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, კმაყოფილებით და მოწონებით შეხვდა სახალხო ჩინეთის მთავრობის წინადადებას და საბჭოთა კავშირის მთავრობის თანხმობას ისეთი შეთანხმების დადების შესახებ, რომელიც მიმართულია შორეულ აღმოსავლეთში ახალი აგრესიის საფრთხის წინააღმდეგ და მშვიდობის საქმეს ემსახურება“.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მოსკოვის მოლაპარაკების შედეგები, აღნიშნავს დასასრულ „ტრიბუნა ლიუდუ“, მოასწავებს მშვიდობის ის უძლეველი ბანაკის ძალებისა და დარაზმულობის შემდგომ გაფართოებას, რომელსაც სათავეში უდგას დიდი სტალინი.

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 18 სექტემბერი. (საკდესი). უნგრეთის ყველა ცენტრალურმა გაზეთმა მოათავსა მასალები საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მოსკოვში გამართული მოლაპარაკების შესახებ: საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კომუნიკე საბჭოთა მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისათვის ჩინეთის ჩანჩურნის რკინიგზის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, „ტრიბუნა ლიუდუ“ წერს:

„ეს გადაწყვეტილება გამოხატავს ხალხთა სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის პატივისცემის, სსრ კავშირის მთავრობის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა ზუსტად დაცვის საბჭოთა პოლიტიკის, ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა უანგარო დახმარებას უწევს კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის ბორკილებისაგან განთავისუფლებულ ხალხებს“.

ეხება რა საკითხს ჩინეთის სამხედრო-საზღვაო ბაზა პორტ-არტურიდან, რომლითაც ორივე სახელმწიფო ერთობლივად სარგებლობს, საბჭოთა ჯარების გაყვანის ვადის განგრძობის შესახებ, გაზეთი წერს:

„ყოველს ადამიანი, რომლისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, კმაყოფილებით და მოწონებით შეხვდა სახალხო ჩინეთის მთავრობის წინადადებას და საბჭოთა კავშირის მთავრობის თანხმობას ისეთი შეთანხმების დადების შესახებ, რომელიც მიმართულია შორეულ აღმოსავლეთში ახალი აგრესიის საფრთხის წინააღმდეგ და მშვიდობის საქმეს ემსახურება“.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მოსკოვის მოლაპარაკების შედეგად, აღნიშნავს „ტრიბუნა ლიუდუ“, ეროვნული ენერგიის ცენტრალიზაციისა და ეროვნული ეკონომიკის ძლიერება. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა კიდევ უფრო მძლავრ ფაქტორი გახდება შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველსაყოფად.

გულგარეთი

სოფია, 18 სექტემბერი. (საკდესი). ბულგარეთში განსაკუთრებული ინტერესითა და ყურადღებით შეხვდნენ ცნობას საბჭოთა მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შორის მოლაპარაკების შესახებ.

დედაქალაქის ყველა გაზეთმა პირველ გვერდზე გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კომუნიკე ამ მოლაპარაკების შესახებ, საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კომუნიკე იმის შესახებ, რომ ჩინეთის ჩანჩურნის რკინიგზა გადაეცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას, ნოტები, რომლებიც ერთმანეთს გაუგზავნეს ჯოუ ენ-ლაიმ და ა. ი. ვიშინსკიმ, აგრეთვე ცნობა იმის შესახებ, რომ ი. ბ. სტალინმა სადილი გამართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

გაზეთი „ოტეჩესტვენ ფრონტი“ ამ დოკუმენტებს აქვეყნებს სათაურით „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის სავარეო პოლიტიკას — მშვიდობისა და უშიშროების, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის პოლიტიკას!“.

გაზეთ „ტრუდის“ პირველი გვერდი იწყება იაპონელ იმპერიალისტებზე გამარჯვების მეშვიდე წლისთავთან დაკავშირებით ი. ბ. სტალინის მიერ მაო ძე-დუნისათვის გაგზავნილი დეპეშის სტატეგით, რომლებიც აწყობილია მსხვილი შრიფტით: „საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დიადი მეგობრობა წარმოადგენს საიმედო გარანტიას ახალი აგრესიის საფრთხის წინააღმდეგ, შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის მძლავრ ბურჯს“.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კომუნიკეს საბჭოთა მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის შორის მოლაპარაკების შესახებ მეორე დღეა ფართო კომენტარს უკეთებს ბულგარეთის ყველა რადიოსადგური.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის წერილი ბუნდესტაგის დეპუტატებისადმი

ბერლინი, 19 სექტემბერი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის დელეგაციამ გერმანიის ბუნდესტაგის პრეზიდენტს გადასცა წერილი, რომელშიც ნათქვამია:

„გერმანიის ბუნდესტაგს
ბ-ნ ბუნდესტაგის პრეზიდენტს
დოქტორ გერმან ელერსს
ბონი.
პატივცემულო ბ-ნო პრეზიდენტო!
პატივცემულო ბ-ნო დეპუტატებო!

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატამ თავის 1952 წლის 5 სექტემბრის სხდომაზე აირჩია დელეგაცია და დაავალა მას გადასცეს გერმანიის ბუნდესტაგის პრეზიდიუმს და პირადად ბუნდესტაგის პრეზიდენტს ბ-ნ დოქტორ ელერსს წერილი, რომელიც მიმართულია ბუნდესტაგის ყველა დეპუტატისადმი წინადადებებით, რომლებიც ეხება ჩვენი ხალხისათვის გადამწყვეტ შემდეგ საკითხებს:

1) იმის შესახებ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და დასავლეთ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის წარმომადგენლები გაიგზავნონ მონაწილეობის მისაღებად ოთხი სახელმწიფოს კოფერენციაში, რომლის მიზანი უნდა იყოს ყველა იმ საკითხის მოწესრიგება, რომლებიც გერმანიას ეხება, და

2) სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნებისათვის პირობების შემმოწმებელი გერმანული კომისიის შექმნისა და მისი მოქმედების დაწყების თარიღის დაწესების შესახებ.

დელეგაციის შემადგენლობაში არჩეული არიან:

დეპუტატი გერმან მატერნი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის ვიცე-პრეზიდენტი,

დეპუტატი ერნსტ გოლდენბაუმი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის ვიცე-პრეზიდენტი,

დეპუტატი ოტო ნუშკე—გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე,

დეპუტატი დოქტორი კარლ ჰამანი — ვაჭრობისა და მომარაგების მინისტრი,

დეპუტატი ჰენრიხ ჰომანი — გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილე.

თუ ბუნდესტაგის დეპუტატები განაცხადებენ ურთიერთგაგების დამყარებისათვის მზადყოფნას, როგორც მთელ გერმანელ ხალხს სურს, ჩვენი დელეგაცია უფლებამოსილია აწარმოოს ყოველგვარი საჭირო მოლაპარაკება ბუნდესტაგის საამისოდ რწმუნებულ დეპუტატებთან ზემოხსენებულ წინადადებათა განსახორციელებლად.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატა ამ ნაბიჯს დგამს, რამდენადაც ის სერიოზული და არანორმალური მდგომარეობა, რომელშიც გათიშული გერმანია იმყოფება საომარი მოქმედების დამთავრების შვიდი წლის შემდეგ, მტკიცედ მოითხოვს ურთიერთგაგების დამყარებას აღმოსავლეთულ და დასავლეთელ გერმანელთა შორის იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებსაც ჩვენი ხალხისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ.

გერმანელ ხალხს უფლება აქვს რაც შეიძლება მალე დადოს საზავო ხელშეკრულება და უნდა მიიღოს თავისი ნების გამოთქმის შესაძლებლობა. საზავო ხელშეკრულების მომზადება განსაზღვრულ დროს მოითხოვს, რადგან მისი პირობები გულდასმით უნდა იქნას განხილული, აგრეთვე გადაღაწყულ უნდა იქნას არსებული წინააღმდეგობანი. ამიტომ საჭიროა, რომ თათბირები საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ დაუყოვნებლივ დაიწყოს. ასევე საჭიროა, რომ არც აღმოსავლეთი გერმანია და არც დასავლეთი გერმანია შებოჭილი არ იყოს რაიმე ვალდებულებით, რაც საფრთხეს შეუქმნიდა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას და გერმანიის გაერთიანებას.

იმ მდგომარეობის გამო, რომელშიც ამჟამად გერმანია იმყოფება, მოლაპარაკება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ არ შეიძლება გადადებულ იქნას იმ მომენტამდე, სანამ შეიქმნებოდეს სრულიად გერმანიის მთავრობა, რომლის ჩამოყალიბებისათვის საჭირო იქნება განსაზღვრული დრო. მანამდე, სანამ ჯერ კიდევ არ არსებობს სრულიად გერმანიის მთავრობა, აუცილებელია, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღონ ოთხი სახელმწიფოს თათბირებში საზავო ხელშეკრულებისა და გერმანიის გაერთიანების შესახებ, რათა წარმოადგენდნენ გერმანელი ხალხის თვალსაზრისს. ფონ რომ აღარ დაიკარგოს, ამავე დროს საჭიროა ახლავე დაიწყოს მოლაპარაკება როგორც საზავო ხელშეკრულების მომზადების, ისე სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის საკითხო ღონისძიების შესახებ.

ჩვენს შორის, გერმანელთა შორის, არ არის აზრთა სხვადასხვაობა იმ საკითხში, რომ მხოლოდ სრულიად გერმანიის მთავრობას აქვს უფლება გერმანიის სახელით მოაწეროს ხელი საზავო ხელშეკრულებას მას შემდეგ, რაც მისი პირობები განხილულ იქნება გერმანიის თავისუფლად არჩეულ ეროვნულ კრებაში.

გერმანელი ხალხისათვის აუტანელია, რომ საზავო ხელშეკრულების დადება და სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნა ჭიანურდება, მაშინ როცა ამავე დროს უდიდესი აჩქარებით იდება ეგრეთწოდებული საერთო ხელშეკრულება, რომელიც დასავლეთ გერმანიის აკისრებს ცალმხრივ ვალდებულებებს და აბრკოლებს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას, აგრეთვე ჩვენი სამშობლოს გაერთიანებას. ამიტომ გერმანელი ხალხი უარყოფს საერთო ხელშეკრულებას და მოითხოვს ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკებას საზავო ხელ